გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№42 (1584) 17-23 ნოემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## ვინ არის ქალი, რომელმაც ორი „მზის შვილი“ სასიკვდილოდ გაიმეტა

გრიფით „საიდუმლო“ საქმის შოკისმომგვრელი დეტალები

# ვინ არის მიშა – ეშმაკთან წილნაყარი, გიჟი, ავანტურისტი თუ ახალი სახელმწიფოს შემქმნელი

## რა საიდუმლო საქმე დევს ტარას შევჩენკოს ნაციონალურ უნივერსიტეტში სააკაშვილზე

## რატომ გაძვირდა ბენზინი და რა მექანიზმი არსებობს საწვავის გასაიაფებლად

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## რატომ არ უშვებენ კოვიდკლინიკაში გადაყვანილ დეკანოზ გიორგი მამალაძესთან ადვოკატებს

ვისგან გადაედო ვირუსი „ციანიდის სკანდალის“ მთავარ ფიგურანტს – მიხეილ რამიშვილის განცხადებები

## შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ქბრბ მიმართულებით უწყებათაშორის სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) ინციდენტებზე რეაგირების სამმართველოს მაშველებმა, ასევე, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა, ქბრბ საფრთხებზე რეაგირების კოლექტიური უნარების განვითარების სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა.

უწყებათშორისი სწავლება აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებით, 9 დღის განმავლობაში, ორ ეტაპად მიმდინარეობდა და მასში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად, ჩართულნი იყვნენ თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.

ტრენინგის პირველი ეტაპი თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ბრიგადის ბაზაზე, ხოლო მეორე ეტაპი – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე გაიმართა. ქბრბ საფრთხეებთან ბრძოლის დანაყოფებისთვის ჩატარებულ სპეციალურ სწავლებაში მონაწილეობდა ყველა შესაბამისი უწყების 60-მდე წარმომადგენელი, მათ შორის, 10 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელი იყო. კოლექტიური უნარების წვრთნების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების უნარებისა და უწყებათშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება.

სწავლების დასრულების ცერემონია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზის ტერიტორიაზე გაიმართა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, თემურ მღებრიშვილმა, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხეების შემცირების სააგენტოს ევრაზიის ოფისის უფროსმა, ბერნარდ დობნერმა და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხეების შემცირების სააგენტოს პროგრამის ხელმძღვანელმა, მაიკლ ბრედვიკმა ტრენინგის მონაწილეებს წვრთნების წარმატებით დასრულება მიულოცეს და სერტიფიკატები გადასცეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხეების შემცირების სააგენტოსთან (DTRA), ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით, მრავალი წელია აქტიურად თანამშრომლობს. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოში არაერთი სწავლება განხორციელდა, გარდა ამისა, დანაყოფის გაძლიერების მიზნით, სააგენტომ სამსახურს ქბრბ ინციდენტებზე რეაგირებისთვის სპეციალური ტექნიკა და თანამედროვე აღჭურვილობა გადასცა.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირების თანამედროვე აღჭურვილობა გადასცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM), ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირების თანამედროვე აღჭურვილობა გადასცა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამართულ ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემული პასპორტის წამკითხველები მესაზღვრე-ოფიცრებს დოკუმენტების საფუძვლიან შესწავლასა და ნამდვილობის განსაზღვრაში დაეხმარება.

აღნიშნული აღჭურვილობა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიძინა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა (SBMMG)“ – ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება ინტეგრირებული საზღვრის მართვისა და მიგრაციის მართვის მიმართულებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებებისა და სამოქმედო გეგმების, განსაკუთრებით, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

## საქართველოსა და თურქეთის სასაზღვრო ქვედანაყოფების ერთობლივი წვრთნები ჩატარდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი „ვალეს“ ტერიტორიაზე, საქართველო-თურქეთის რესპუბლიკების სასაზღვრო ქვედანაყოფების ერთობლივი წვრთნები ჩატარდა.

სწავლებაში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ახალციხის სამმართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 25-ე ბრიგადის ტაქტიკური ჯგუფები მონაწილეობდნენ.

ერთობლივი წვრთნების მიზანი იყო ორი ქვეყნის სასაზღვრო ქვედანაყოფებს შორის სახმელეთო საზღვრის დაცვის მიმართულებით გამოცდილების გაზიარება და საზღვრის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში კოორდინირებული მოქმედებების გაუმჯობესება. სწავლების ფარგლებში, მესაზღვრეებმა სასაზღვრო ინციდენტებზე რეაგირებისა და პრევენციული ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობები დახვეწეს.

წვრთნების სცენარი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: არალეგალური მიგრანტების დაკავება და სახელმწიფო საზღვარზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უკანონოდ გადაყვანის აღკვეთა.

სწავლების შემაჯამებელი ღონისძიება სექტორი „ვალეს“ ტერიტორიაზე გაიმართა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ემზარ აბრამიშვილმა ჩატარებული წვრთნები შეაფასა და მონაწილეებს წარმატებული ღონისძიებისთვის მადლობა გადაუხადა. სტუმრებსა და სწავლების მონაწილეებს, ასევე, სიტყვით მიმართა თურქეთის შეიარაღებული ძალების 25-ე ბრიგადის მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა ბერათ აჯარმა.

ღონისძიების დასასრულს, წვრთნებში მონაწილე მესაზღვრეებს მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ერთობლივი წვრთნები თურქეთ-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის 2021 წლის გეგმის ფარგლებში ჩატარდა. მსგავსი ტიპის სწავლებები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის რეგულარულად, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

## შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილის თანაშემწეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, ერიკა ოლსონი აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ბიუროს (INL) დირექტორთან, სარა რუპერტთან ერთად ეწვია.

სტუმრებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა უმასპინძლა. შეხვედრას ასევე დაესწრნენ საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა ერიკა ოლსონს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკა გააცნო, რის შემდეგაც დეპარტამენტის თანამედროვე შენობაში განთავსებული სხვადასხვა ლაბორატორიები: ბიოლოგიური ექსპერტიზის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფარმპრეპარატების ექსპერტიზის, ასევე, ბალისტიკური ექსპერტიზის, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის, ჰაბიტოსკოპიური, ფოტო-ვიდეო და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზების ლაბორატორიები და ტირი დაათვალიერებინა.

გიორგი ბუთხუზმა ერიკა ოლსონს მადლობა გადაუხადა ამერიკული მხარის მიერ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და ხაზი გაუსვა სამომავლო თანამშრომლობის მნიშვნელობას.

# ვინ არის მიშა – ევმაკთან წილნაყარი, გიჟი, ავანტურისტი თუ ახალი სახელმწიფოს შემქმნელი

ნინო დოლიძე

**ზოგს მოსწონს, ზოგს – არა. ზოგისთვის ევმაკთან წილნაყარია, ზოგისთვის – თავისუფლებისთვის მებრძოლი, ზოგისთვის გიჟია და ზოგისთვის – ახალი ქართული სახელმწიფოს შემქმნელი. ყველა ეს შეფასება, ცხადია, სუბიექტურია, მაგრამ ამ სუბიექტურობის მიღმა არსებობს გარკვეული ობიექტურობა ანუ ის, რომ მიხეილ სააკაშვილი ქართული პოლიტიკის ერთგვარი მოტორია. დიახ, გვინდა თუ არა, სჯობს, რეალობას თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ საქართველოში დაბრუნებით ქართული პოლიტიკა თავდაყირა დააყენა. ყოველ შემთხვევაში, თითქმის 50 დღეა, მთავარ პოლიტიკურ ამბებს ის ქმნის ანუ ყველა – გავლენიანი თანამდებობის პირებიდან დაწყებული, მედიითა და რიგითი ადამიანებით დამთავრებული, სააკაშვილზე ლაპარაკობს. მინიმუმ, ის მაინც აინტერესებს, როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. და მაინც, ვინაა მიხეილ სააკაშვილი? – ამ თემაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. შესაბამისად, „ვერსია“ ძველი ამბების გახსენებით თავს აღარ შეგაწყენთ და მესამე პრეზიდენტის ბეგრაუნდიდან მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან რაღაცებს გაგახსენებთ.**

## რა საიდუმლო საქმე დევს ტარას შევჩენკოს ნაციონალურ უნივერსიტეტში სააკაშვილზე

დავიწყოთ იმით, რომ მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში გამოჩენისთანავე, ესე იგი, გასული საუკუნის 90-იანები წლების შუახანებიდანვე, მედიისა და შესაბამისად, საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ეს გასაკვირიც არ გახლდათ, რადგან ჩვენთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკოსების მსგავსად არ ლაპარაკობდა და იგივე ლექსიკაც სხვანაირი ჰქონდა. ამიტომაც, ხალხმა იმთავითვე ჩათვალა, რომ მიშას ნდობა შეიძლებოდა. ამასთან, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სააკაშვილი, ერთგვარად, „არსენა მარაბდელობას“ თამაშობდა. აი, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო ვერტიკალის წევრი იყო, მაღალჩინოსნებს მედგრად ამხელდა და მათ კორუფციულ ვნებებზეც პირდაპირ სამთავრობო ტრიბუნებიდან ლაპარაკობდა.

ყველაფერ ამის პარალელურად კი, საზოგადოების ნაწილში მიშაზე ცუდი ამბებიც ვრცელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ზოგი ამბობდა, ეს ხომ სოროსის ლეკვია, სოროსს კი ქართველობის წართმევა უნდა. პარალელურად, ის ხმაც დადიოდა, რომ მაშინდელი მმართველი პარტიის სახე ჩრდილოეთის თამაშებს თამაშობდა.

სხვათა შორის, სააკაშვილისა და ზოგადად, ნაციონალური მოძრაობის რუსულ კვალზე დღევანდელი ხელისუფლებაც აპელირებს და „ოცნების“ უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელი, საჯარო კომენტარებისას, პირდაპირ ამბობს, რომ საქართველში რუსულ ინტერესებს ყველაზე მეტად წინა ხელისუფლება ატარებდა.

ბუნებრივია, ამის მტკიცებულებები არ არსებობს, მაგრამ მიშას პრორუსულობის მომხრეებს არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ „კა გე ბე“-ს ჯარში მსახურობდა და სწორედ მაშინ „დაავერბოვკეს“.

**„საქართველოს მოსახლეობას აქვს უფლება, რომ იცოდეს მისი პრეზიდენტის ბიოგრაფია მთლიანად და შელამაზების გარეშე. მიშა სააკაშვილი გულმოდგინედ მალავს თავის ურთიერთობას საბჭოთა „კა გე ბე“-სთან, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული. ის არასდროს ლაპარაკობს იმაზე, რომ 1980-იან წლებში, საბჭოთა მზვერავების სკოლაში სწავლობდა და „კა გე ბე“-ს ჯარში ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. არადა, ეს ინფორმაცია ჟონავს. მოსახლეობამ უნდა მოითხოვოს ამ ტიპის სრული ბიოგრაფია და ახლა, როცა მისი მომხრეები, აქეთ სხვებს ადანაშაულებენ ათას რამეში, საზოგადოებამ უნდა განსაჯოს – ამ ბიოგრაფიის კაცს რამდენად შეუძლია, რომ იყოს პოლიტიკაში საქართველოში. ყველაფერს თავისი ახსნა აქვს, მათ შორის, 2008 წელს, მიშას მიერ საქართველოს მეხუთედის ჩუქებას რუსეთისთვის. ეს ახსნა მის ბიოგრაფიაშია“,** – ეს სიტყვები 2013 წლის მაისში, სოციალურ ქსელში, მწერალმა და უფლებადამცველმა ირაკლი კაკაბაძემ დაწერა.

ამ დროს მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტია, თუმცა ძალაუფლება, შეიძლება ითქვას, აღარ აქვს, რადგან აღმასრულებელ ხელისუფლებას უკვე „ოცნება“ აკონტროლებს. ამიტომ, შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ კაკაბაძემ მიშას ბრალდება „ნაურაზე“ წაუყენა, თუმცა იგივეს ვერ იტყვიან ჟურნალისტ ბონდო ქურდაძეზე, რომელმაც ამ თემაზე საუბარი ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო. პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე კი, 2012 წლის სექტემბერში, შემდეგი ინფორმაცია ქვეყნდება:

**„სააკაშვილი კგბ-დან იწყება?! ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, ჩვენ გთავაზობთ ფაქტებს, რომელთა გაანალიზების შემდეგ, დასკვნა თავადვე შეგიძლიათ გააკეთოთ და ერთ საინტერესო ისტორიაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას: ცნობილია, რომ მიხეილ სააკაშვილს დამთავრებული აქვს კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ნაციონალური უნივერსიტეტი (კომუნისტური მმართველობისას, ეს უნივერსიტეტი ცნობილი იყო, როგორც კგბ-ს „საბაზისო მიმართულების სასწავლებელი“ და ცხადია, მისი სტუდენტობისდროინდელი პირადი საქმე ამავე უნივერსიტეტში ინახება).**

**ვინაიდან ქვეყნის პრეზიდენტი საჯარო პირია, წესით და რიგით, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს ქვეყნის პირველი პირის ბიოგრაფიას. ალბათ, სწორედ ამ მოტივით, გაზეთ „შანსის“ რედაქტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა ბონდო ქურდაძემ, 2010 წლის აპრილში, თხოვნით მიმართა ხსენებული უნივერსიტეტის რექტორს, მიეცათ მისთვის საშუალება, გასცნობოდა მიხეილ სააკაშვილის პირადი საქმის ქსეროასლებს.**

**ტარას შევჩენკოს სახელობის ნაციონალური უნივერსიტეტის რექტორის პასუხი ასეთი იყო: საქმე შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციებს და სააკაშვილის ნებართვის გარეშე არ გაიცემაო (?!). ბონდო ქურდაძე იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველო. დღეს ის, ოჯახთან ერთად, ლევილში ცხოვრობს და მინიჭებული აქვს პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსი“.**

ერთი სიტყვით, მიშას დასავლურ თუ ჩრდილოეთურ სპეცსამსახურთან ურთიერთობა ბურუსითაა მოცული. შესაბამისად,შეიძლება, ეს ჩვეულებრივი მითიც იყოს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მითები ხალხისთვის ყველაზე კარგი იდეოლოგიური საკვებია.

ახლა, რაც შეეხება ახლანდელ მიშას, როგორც წეღან ვთქვით, პოლიტიკურ ნარატივებს ციხიდანაც ქმნის და „გმირობას“ „იჩალიჩებს“. არადა, ამ პრობლემის მოგვარება ძალიან მარტივად შეიძლება – გადაყვანა სამოქალაქო კლინიკაში და წერტილი.

რაც შეეხება იმას, არის თუ არა სააკაშვილი დამნაშავე, თუ დავაკვირდებით, ერთ გავლენიან დასავლეთელ პოლიტიკოსსა თუ უფლებადამცველს არ უთქვამს, რომ უდანაშაულოა ანუ სააკაშვილის ციხიდან გამოშვებას კი არ ითხოვენ, არამედ, ყველა ამბობს, სამოქალაქო კლინიკაში გადაიყვანეთო. ესე იგი, რა გამოდის? – მსოფლიოს, რომელსაც 2013 წლის ანუ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მსჯავრდებული და ძებნილი იყო, მაგელანივით უვლიდა და ყველა რანგის პოლიტიკოსი რევერანსებით ხვდებოდა, სააკაშვილის უდანაშაულობის არ სჯერა?

ისე, ამ კონტექსტში, ისიც საკითხავია, მსოფლიო ლიდერები ძებნილს ფიანდაზებს რატომ უგებდნენ?

ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკას თავისი უცნაური წესები აქვს და აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სააკაშვილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, პრაქტიკულად, ერთადერთი იყო, რომელმაც საქართველოში დემოკრატიისა და რეფორმების ანტურაჟი შექმნა.

რაც შეეხება ოპოზიციის ჰიპოთეტურ განცხადებას, ცოცხალი სააკაშვილი ხელისუფლებას არ სჭირდებაო, ესეც იმ „ოპერიდანაა“, მიშამ ქართული სახელმწიფო რომ შექმნა.

ქართული სახელმწიფო მიშამდეც არსებობდა და მიშას მერეც იარსებებს, თუმცა იმის უარყოფა, რომ ენმ-ს მმართველობის დროს, სახელმწიფო ინსტიტუტები ევროპულ ყაიდაზე გადავიდნენ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

ამასთან, ისიც ნათელია, თუ ვინმეს არ უნდა, რომ მესამე პრეზიდენტის ამბავი ფატალურად დამთავრდეს, ეს სწორედ სახელმწიფოა, რადგან ამ სცენარის შემთხვევაში, საერთაშორისო თვალსაზრისით, პრობლემები მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალას კი არა, ქართულ სახელმწიფოს შეექმნება, თან ეს ისეთი პრობლემა იქნება, რომლის მოგვარებასაც ერთი-ორი თვე კი არა, დიდი ალბათობით, წლები დასჭირდება.

ერთი სიტყვით, სააკაშვილი საპატიმროშიც სააკაშვილია ანუ პოლიტიკურ ამინდს ქმნის. პოლიტიკოსის პოლიტიკოსობაზე კი, ძალიანაც რომ არ მოეწონოს ვინმეს, სწორედ ეს „ჟილკა“ მეტყველებს.

დიახ, პოლიტიკაში ცხოველური ჟინი გადამწყვეტია!

# რატომ არ უშვებენ კოვიდკლინიკაში გადაყვანილ დეკანოზ გიორგი მამალაძესთან ადვოკატებს

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

**დეკანოზ გიორგი მამალაძეს საპატიმროში კორონავირუსი დაუდასტურდა. სასულიერო პირის ადვოკატი, მიხეილ რამიშვილი „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ დეკანოზი კლინიკა „ვივამედშია“ გადაყვანილი, თუმცა მისი მონახულების საშუალებას უფლებადამცველებს არ აძლევენ. საგულისხმოა, რომ დეკანოზ მამალაძეს, ადვოკატებისა და ოჯახის წევრების ინფორმაციით, საპატიმროში ჯანმრთელობის მდგომარეობა კორონამდეც გართულებული ჰქონდა ანუ ხელ-ფეხი პარალიზებული აქვს. ამიტომ, შესაძლოა, კოვიდინფექცია მისთვის განსაკუთრებით საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.**

**შეგახსენებთ, გიორგი მამალაძეს 9-წლიანი სასჯელი 2017 წელს გამოუტანეს და მისი შეწყალების თხოვნით, ოჯახმა ჯერ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, შემდეგ კი სალომე ზურაბიშვილს არაერთხელ მიმართა, თუმცა უშედეგოდ.**

**„ციანიდის სკანდალის“ მთავარი გმირის შეწყალება ერთმა პრეზიდენტმაც ვერ გარისკა...**

**„ვერსია“ მიხეილ რამიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ:**

ვისგან გადაედო ვირუსი „ციანიდის სკანდალის“ მთავარ ფიგურანტს – მიხეილ რამიშვილის განცხადებები

– გიორგი მამალაძე კლინიკა „ვივამედშია“ გადაყვანილი. ეს ინფორმაცია რომ შევიტყვეთ, 14 ნოემბერსვე, ძალიან ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ერთი ადვოკატიც კი ვერ შევედით მის სანახავად. ბადრაგი ითხოვდა, რომ მიგვეტანა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობა, რაც ჩემთვის გაურკვეველია, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც წავედით და დავწერეთ განცხადება, მაგრამ ამ წუთამდე არ მიგვიღია თანხმობა, რომ ადვოკატებმა დეკანოზი მოვინახულოთ.

გარდა ამისა, 14 ნოემბერს, ჩვენი მოთხოვნით, სახალხო დამცველის წარმომადგენელი იყო შესული და თქვა, რომ კორონავირუსი დაუდასტურდა, თუმცა სხვა მხრივ, ჯანმრთელობის მდგომარეობა ისევ მძიმეა და დეტალებს ვერ გეტყვით, სანამ დეკანოზს უშუალოდ არ ვნახავ.

**– რატომ არ გაძლევენ ადვოკატებს დეკანოზის ნახვის უფლებას?**

– ამის მიზეზი, შეიძლება, ბევრი იყოს...

**– მაინც?**

– ვერ გეტყვით... როდესაც დეკანოზი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში იყო გადაყვანილი, არც მაშინ დამჭირვებია მსგავსი ნებართვა და ზოგადად, არც ერთი მსჯავრდებულის ნახვის შემთხვევაში არ დამჭირვებია დეპარტამენტის ნებართვა.

საბადრაგოს სამსახურის უფროსს წარვუდგენთ ხოლმე დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც ვითხოვთ შეშვებას. ახლა კი ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს და პატიმართან იძულების წესით ვერ შევიჭრები.

**– დეკანოზის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოდან რაიმე სიახლე ხომ არაა?**

– დიახ, სტრასბურგის სასამართლოშია გაგზავნილი ეს საქმე და ამის თაობაზე, დავით ჯანდიერს აქვს დეტალური ინფორმაცია.

როგორც ცნობილია, 21 სექტემბრამდე, შესაბამისი ფორმით, სახელმწიფოს მხრიდან უნდა ყოფილიყო გარკვეულ კითხვებზე პასუხი გაცემული.

**– სახელმწიფოს პასუხები რა კითხვებზე უნდა გაეცა?**

– ყველა დარღვევის თაობაზე, შესაბამისი კონტრარგუმენტაცია ხომ უნდა ჰქონდეს საქართველოს მხარეს გაგზავნილი? ამის შესახებ დეტალებს დავით ჯანდიერი ფლობს.

**– ბატონო მიხეილ, სტრასბურგის სასამართლოს გარდა, დაცვის მხარეს დეკანოზის გასათავისუფლებლად რა ბერკეტი გაქვთ? ორივე პრეზიდენტს მიმართეთ შესაწყალებლად, მაგრამ უშედეგოდ...**

– დიახ, არ მიიღეს შეწყალების გადაწყვეტილება იმიტომ, რომ მაშინაც ვამბობდი, ეს გარკვეული ჯგუფის პირადი ინტერესია-მეთქი და დღესაც ასეა, რომ დეკანოზს არ მიეცეს საშუალება, ცოცხალი და ჯანმრთელი იყოს, რადგან ასეთ მდგომარეიბაში ადამიანის ყოფნა იყო საფუძველი, რომ სასჯელისგან გათავისუფლებულიყო ან სასჯელი გადავადებოდა, მაგრამ სასამართლომ არ მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება და საჯარო სასამართლო პროცესის ნაცვლად, პენიტენციურ დაწესებულებაში ჩაატარეს საქმის განხილვა.

**– დიახ, მახსოვს, რომ სასამართლოში არ მიიყვანეს მაშინ დეკანოზი...**

– დიახ, არ მიიყვანეს, არადა, ადამიანი აზროვნებს, თუმცა არ უნდოდათ ხალხში გამოეწვიათ დამატებით პროტესტი, რაც არსებობს დეკანოზის უკანონო პატიმრობის გამო.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ არც ერთი ჩვენი მოთხოვნა პრეზიდენტების მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. დასაბუთებული ვარაუდი იყო და არის, რომ საპატრიარქოში გარკვეული ჯგუფი, არა მხოლოდ მაღალი რანგის სასულიერო პირები, არამედ, მაღალი თანამდებობის პირებიც იყვნენ ჩართულნი ამაში და ამაზე არაერთხელ გვისაუბრია.

ეს დიდი ჯგუფია, რადგან დეკანოზმა ძალიან ბევრ რაღაცას ნათელი მოჰფინა და საზოგადოებისთვის არაერთი ინფორმაცია გახდა ცნობილი.

**– თუ დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობას გავითვალისწინებთ, შესაძლოა, რომ კოვიდინფექციის საფრთხის მასშტაბი დიდი იყოს. ამიტომ, მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, წესით, მუდმივად უნდა იღებდეთ, არა?**

– რა თქმა უნდა, ამაზეა საუბარი, რომ კორონავირუსმა შეიძლება პროვოცირება მოახდინოს და დაამძიმოს მისი მდგონარეობა.

ადამიანი, სამი წელია, ასეთ მდგომარეობაშია, ექსპერტების დასკვნებით, ახალგაზრდა კაცს ხელ-ფეხი აქვს წართმეული და ამას დამატებული ეს კატასტროფული ვირუსი. ცხადია, პროვოცირებას მოახდენს და არ გვაძლევენ ინფორმაციას. ვისგან გადაედო ეს ვირუსი და როგორ დაინფიცირდა, ესეც უცნობია.

# სინამდვილეში, რა დაავალა სტრასბურგმა სახელმწიფოს სააკაშვილთან დაკავშირებით

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## უჩა ნანუაშვილი: „შესასრულებელია ვალდებულება, რის შეუსრულებლობასაც, შეიძლება, ცუდი შედეგი მოჰყვეს!“

**მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების განმარტებით, ევროსასამართლოდან მიღებული წერილის მიხედვით, რომელიც სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით, დროებითი ღონისძიების გამოყენებას ეხება, დროებითი ღონისძიების მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ნიკა გვარამიას თქმითვე, სასამართლო აღიარებს, რომ მიხეილ სააკაშვილი შიმშილობს: „სტრასბურგის სასამართლომ დაავალა საქართველოს სახელმწიფოს, აუცილებლად გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ის ვალდებულია, უზრუნველყოს პატიმრის უსაფრთხოება და ადეკვატური მკურნალობა, უსაფრთხოება ისევ უნდა იყოს უმაღლესი ხარისხით უზრუნველყოფილი“.**

**ადვოკატის თქმით, მიხეილ სააკაშვილის მხარემ ყოველდღიურად განახლებული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სტრასბურგის სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტის მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს ეხება, როგორც ჯანმრთელობის, ასევე, უსაფრთხოების მდგომარეობას: „24 ნოემბერს, ეს ინფორმაციები შეჯერდება და კვლავ იმსჯელებს სასამართლო იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება, მაღალი ალბათობით“, – თქვა გვარამიამ. მისი თქმით, სტრასბურგის სასამართლომ არ დაასახელა კლინიკა, მაგრამ დაასახელა სტანდარტი, რომელიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი.**

**სტრასბურგის სასამართლოს პასუხს გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის მინისტრი, რატი ბრეგაძე. როგორც ის აღნიშნავს, საქართველოს მთავრობას სტრასბურგის სასამართლოს 2021 წლის 10 ნოემბრის წერილით ეცნობა, რომ ამავე დღეს, მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენლებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შემდეგი მოთხოვნით: დაუყოვნებლივ მოხდეს მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა №18 სამკურნალო დაწესებულებიდან (სადაც მომჩივანი მხარის განმარტებით, არ არის სათანადოდ დაცული მისი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება), მრავალპროფილურ სამოქალაქო კლინიკაში. მინისტრის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლომ მომჩივნის ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და სახელმწიფოსთვის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის ნაცვლად, მომჩივან მხარეს დაჟინებით მოუწოდა შიმშილობის შეწყვეტა. ბრეგაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 24 ნოემბრამდე, ევროპულ სასამართლოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მომჩივნის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თაობაზე.**

**სინამდვილეში, რას გულისხმობს სტრასბურგის სასამართლოს გადაყვწტილება და რა სანქციები შეიძლება დაეკისროს საქართველოს ამ ვალდებულების არშესრულების შემთხვევაში?**

**– „ვერსია“ ყოფილ სახალხო დამცველს, უჩა ნანუაშვილს ესაუბრა:**

– იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა, სტრასბურგის სასამართლომ დროებითი ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება დააკმაყოფილა და ეს პირდაპირაა ნათქვამი.

**– ეს რას ნიშნავს?**

– იმის გამო, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ სერიოზული რისკის ქვეშაა, სახელმწიფოს მიეცა ვალდებულება და ვადა, რომ ყველანაირი ინფორმაცია, თუ როგორ დაიცავს მის ჯანმრთელობას და როგორ შეძლებს, რომ ეს საკითხი მოაგვაროს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, 24 ნოემბრამდე, სტრასბურგის სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდოს.

გადაწყვეტილებაშივეა მოწოდებაც, რომ სააკაშვილმა შეწყვიტოს შიმშილობა, რაც ბუნებრივია. გადაწყეტილებაში, ასევე, საუბარია შიმშილობის შემდგომ პერიოდზე, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რათა პოსტშიმშილობის პერიოდიც იყოს შესაბამისი მკურნალობით უზრუნველყოფილი ანუ შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნა დროებითი ღონისძიების შესახებ დაკმაყოფილებულია.

აქ პირდაპირ არ წერია, რომ გადაყვანილი უნდა იყოს სადმე, მაგრამ საუბარია, რომ აუცილებელია შესაბამისი, ადეკვატური რესურსების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო დახმარების მიღება. ასეთი დახმარებისთვის კი მე-18 დაწესებულებას არ გააჩნია, მათ შორის, არ აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები, რომელსაც გულისხმობს ადეკვატური და სრული სამედიცინო დახმარება.

**– გასაგებია, რომ დოკუმენტში არ წერია, სააკაშვილის კერძო კლინიკაში გადაყვანაა საჭიროო, მაგრამ სტარსბურგს მსგავსი ფორმულირებით მითითების გაკეთება შეუძლია?**

– ასეთი პრაქტიკაში არ არსებობს, რადგან კერძო კლინიკასთან სტრასბურგს საქმე არ აქვს. მას საქმე აქვს სახელმწიფოსთან, რადგან სახელმწიფოს მიმართ აქვს კონკრეტული რეკომენდაციები და მიმართვა, რომელიც უნდა შესრულდეს.

**– რა მოხდება ისეთ შემთხვევაში, თუ არ შესრულდება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რა სანქციები შეიძლება დაეკისროს სახელმწიფოს?**

– ასეთი პრეცენდენტები ყოფილა, მაგალითად, რუსეთს არ შეუსრულებია სტრასბურგის გადაწყვეტილება და ამის გამო, გარკვეული პერიოდი ხმის მიცემის უფლებაც შეეზღუდა რუსეთს ევროსაბჭოში. რა თქმა უნდა, არის ძალიან ბევრი არსასიამოვნო სანქცია და რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნის იმიჯს აზიანებს ასეთი გადაწყვეტილებები, რეპუტაციის კუთხით.

კიდევ ერთხელ რომ განვმარტო: კერძო კლინიკას ვერავინ ვერაფერს დაავალდებულებს, სახელმწიფოს მიმართაა დავალება, რომ უზრუნველყოს შესაბამისი დახმარება არა მხოლოდ ახლა, არამედ, პოსტშიმშილობის პერიოდშიც.

**– ამ მოთხოვნის მიხედვით, 24 ნოემბრამდე, სახელმწიფომ კონკრეტულად რა უნდა შეასრულოს?**

– სახელმწიფომ უნდა წარადგინოს კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა შეასრულა, რომ პატიმრის მდგომარეობა იყოს დაცული უსაფრთხოებისა და ადეკვატური მკურნალობის მხრივ. თუ რა ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფოსგან, რომ ეს გადაწყვეტილება შესრულებულიყო.

**– იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატები ისევ მიმართავენ სტრასბურგის სასამართლოს, რომ საპატიმრო საავადმყოფოში ვერ იღებს სააკაშვილი ადეკვატურ მკურნალობას, დამატებით რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სტრასბურგის სასამართლომ?**

– საკმარისი დროა, რომ სახელმწიფომ გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად. 24 ნოემბრამდე გამოჩნდება, თუ რას ახორციელებს ქვეყანა. მნიშვნელოვანია, რომ აქამდე სახელმწიფოს არ ჰქონდა ვალდებულება სტრასბურგის სასამართლოსთან და დღეს ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტიტუტი, მექნიზმია ჩართული ამ საქმეში ანუ მონიტორინგის ახალი დეტალი დაემატა ამ საქმეს სტრასბურგის სახით.

ვფიქრობ, ეს დიდწილად ცვლის ვითარებას იმ კუთხით, რომ სახელმწიფო უნდა იყოს უფრო ყურადღებით. თუ აქამდე არ აქცევდა ყურადღებას, ვინ რას ამბობდა, ახლა შესასრულებელია ვალდებულება, რასაც, შეიძლება, ცუდი შედეგი მოჰყვეს არა მარტო ქვეყნის რეპუტაციასთან, არამედ, ევროსაბჭოსა და ევროპულ სტრუქტურებში გაწვრიანებასთან დაკავშირებითაც.

მაკა რუხაძე

# რატომ გაძვირდა ბენზინი და რა მექანიზმი არსებობს საწვავის გასაიაფებლად

## ნავთობის კარტერული თამაშები – როგორ აშანტაჟებს „ოპეკი+“ მსოფლიოს

**ბოლო დროს ბენზინის საწვავი საგრძნობლად გაძვირდა – სხვადასხვა ბენზინგასამართ სადგურზე ფასი 3.00-3.15 ლარის ფარგლებში მერყეობს. საქართველო ნავთობის იმპორტიორი ქვეყანაა და ცხადია, საწვავის ფასს ნავთობის საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტენდენციები განაპირობებს, რაც სახარბიელო სულაც არაა. ამასთან, ნავთობიმპორტიორი კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა, სოსო ფხაკაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში სწორედ ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა, თუმცა როგორც ხდება ხოლმე, საზოგადოების ნაწილმა ამ ინტერვიუდან მხოლოდ ერთი რეფრენი აიტაცა. სინამდვილეში, ეს გახლდათ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა, სადაც სოსო ფხაკაძე ამბობს, რომ საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, ბენზინის ფასი საქართველოში იმაზე ძვირი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა. პრობლემა რომ მხოლოდ ეს იყოს, ამ თემით საერთოდ არ დავინტერესდებოდი, მით უმეტეს, რომელიმე ბიზნესმენის ადვოკატობა ჩემი ჰობი ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ სოსო ფხაკაძის წინააღმდეგ სოციალურ ქსელში მიზანმიმართული კამპანია აგორდა. ვიღაცები უფრო შორს წავიდნენ და საქართველოს ნავთობის ბაზარზე მოქმედი კომპანიები თავისივე ფასებით ბანერზე გამოფინეს... საზოგადოების აღშფოთება გასაგებია, რადგან საწვავის ფასი დომინოს პრინციპით მოქმედებს სხვა პროდუქტების ფასებზეც. ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი პროდუქტის ფასწარმოქმნის სისტემაში ტრანსპორტის ხარჯიც შედის, შესაბამისად, როდესაც დღეს ბენზინი ძვირდება, ხვალ აუცილებლად პური, ყველი, კვერცხი, ზეთი, ბრინჯი, წიწიბურა, შაქარი... გაძვირდება, თუმცა აღშფოთებაცაა და აღშფოთებაც – პრობლემა ის კი არაა, რომ სხვადასხვა ნავთობკომპანიას ხალხი აუჯანყო, არამედ, უნდა დავსხდეთ და გავაანალიზოთ, რატომ გაძვირდა ბენზინი, რა წინაპირობა ჰქონდა ამ გაძვირებას და პრობლემის გადაჭრის გზაც უნდა დავსახოთ. ჰოდა, ყოველგვარი პოლიტიკური სარჩულის, ანგაჟირებისა და სიძულვილის გარეშე, გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილთან, რომელიც „ვერსიასთან“ საუბრისას, საწვავის გაიაფების რეალურ მექანიზმსაც ამხელს.**

**– ბატონო ვანო, რატომ გაძვირდა ბენზინის საწვავი საქართველოში?**

– ეს საკითხი, რა თქმა უნდა, გლობალურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. სხვათა შორის, ბენზინის საწვავის ფასთან დაკავშირებით, არა მარტო საქართველოში, არამედ, მსოფლიოში ძალიან რთული ვითარებაა. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, ევროკავშირის ქვეყნები... აბსოლუტურად ყველგან ფიქსირდება რეკორდულად მაღალი ფასები. შესაბამისად, ყველა ამ ქვეყანაში, საწვავის ფასთან დაკავშირებით, მოსახლეობა შეშფოთებულია. იგივე, აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა რამდენიმე განცხადებაც კი გააკეთა საწვავის მაღალ ფასთან დაკავშირებით. ასეთი ვითარებაა მსოფლიოში და ცხადია, საქართველოც მსოფლიოს ნაწილია. ბენზინი გაძვირდა ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში. მოკლედ, ყველგან ერთი და იგივე სიტუაციაა.

**– გაძვირების რეალური მიზეზი რა არის?**

– ძირითადი მიზეზი ნავთობის რეკორდულად მაღალი ფასია. ფაქტობრივად, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ნავთობის ფასი ყველაზე მაღალ ნიშნულზეა. ისევ პირველ კითხვას დავუბრუნდები და აგიხსნით, რატომ გაძვირდა საწვავი საქართველოში. 1 სექტემბრიდან დღემდე, საწვავის ფასი ბრენდირებულ გასამართ სადგურებზე, საშუალოდ, 10-15 თეთრით გაძვირდა, არაბრენდირებულ გასამართ სადგურებზე – 25-30 თეთრით, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ფიქსირებული ფასის მატებასაც უკავშირდება.

რაც შეეხება ლარის გაცვლით კურსს აშშ დოლართან მიმართებაში, კონკრეტულად ამ პერიოდში ანუ 1 სექტემბრიდან დღემდე, საწვავის გაძვირებაზე ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია.

**– საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის რეკორდულად მაღალი ფასი, გარკვეულწილად, პანდემიასაც ხომ არ უკავშირდება?**

– პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ასეთი მაღალი ფასი ხელოვნურადაა გამოწვეული! ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების გაერთიანება „ოპეკი პლიუსის“ გადაწყვეტილებით, ნავთობის მოპოვების რაოდენობა შემცირდა, რაც დიახ, კოვიდპანდემიას უკავშირდება. მოგეხსენებათ, პანდემიის დროს, როდესაც მთელი დედამიწა გაჩერდა, ნავთობზე მოთხოვნა შემცირდა, რასაც ფასის მკვეთრი ვარდნა მოჰყვა – ტრანსპორტი გაჩერდა, ფრენები შეჩერდა, საწვავი აღარავის სჭირდებოდა.

პანდემიის შემდეგ, მსოფლიო ნავთობმწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება – „ოპეკი პლიუსი“ შეიკრიბა და შეთანხმდა, რომ ნავთობის წარმოება შეემცირებინა.მეტიც, ამ ქვეყნებმა კვოტებიც კი გადაინაწილეს, თუ ვის რამდენით უნდა შეემცირებინა წარმოება.

ნავთობის წარმოების შემცირებას ის მოჰყვა, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში, როდესაც ქვეყნები გაიხსნა, ნავთობზე მოთხოვნა გაიზარდა და ფასიც გაძვირდა. ზოგადად, „ოპეკი პლიუსი“, თავისი ბუნებით, კარტელურია (ესაა შეთანხმება მსხვილ მწარმოებლებს შორის, პროდუქტის ფასზე, წარმოების კვოტაზე-მოცულობაზე, ან ბაზრის გეოგრაფიულ გადანაწილებაზე, – ავტ.).

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ჯო ბაიდენმა არაერთხელ მოუწოდა „ოპეკი პლიუსს“, რომ ნავთობის წარმოება გაეზარდა, რათა ნავთობისა და შედეგად, საწვავის ფასები დასტაბილურებულიყო, მაგრამ უშედეგოდ – მსხვილმა ნავთობმომპოვებლებმა ბაიდენის მოთხოვნა არ გაითვალისწინეს! აი, ასეთი ვითარებაა ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე, რაც ნეგატიურად აისახება მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე, განსაკუთრებით, ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებზე და მათ შორის, საქართველოზეც.

**– ვინაიდან „ოპეკი პლიუსმა“ ჯო ბაიდენის მოთხოვნა არ გაითვალისწინა და ნავთობის წარმოება არ გაზარდა, ეს ნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოსა და საქართველოში, საწვავი კიდევ გაძვირდება?**

– დიახ, ასეა. მეტსაც გეტყვით, ჯო ბაიდენის გარდა, „ოპეკი პლიუსს“ ნავთობის წარმოების გაზრდა მოსთხოვეს იაპონიისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრებმაც, მაგრამ უშედეგოდ.

**– აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ აგორდა სოციალურ ქსელში კამპანია ნავთობპროდუქტების იმპორტიორი მხოლოდ ერთი კომპანიის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც ამ ბაზარზე ხუთი ძირითადი, ბრენდირებული კომპანიაა და ამ კომპანიებს შორის, საწვავის ფასებში მინიმალური განსხვავებაა?**

– აბსოლუტურად მართალი ხართ! წლების მანძილზე, სისტემატურად აშუქებთ ამ პრობლემას და კარგად იცით, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც საწვავის ფასის გამო, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, ასეთი კამპანია აგორდა. არადა, ის კომპანია, რომელსაც დაუპირისპირდნენ ანუ „ვისოლი“ სულაც არაა ბაზრის მონოპოლისტი.

რეალურად, საქართველოს ნავთობის ბაზარზე, 30-მდე იმპორტიორი კომპანია ოპერირებს და ქვეყნის მასშტაბით, 1300 გასამართი სადგური ფუნქციონირებს. ამ 1300 სადგურიდან, დაახლოებით, 700 არაბრენდირებულია. ბრენდირებული ნავთობკომპანიების გაყიდვები – 60%, არაბრენდირებულების კი 40%-ია. ეს ნიშნავს, რომ ნავთობის ბაზარზე დღეს საკმაოდ სერიოზული კონკურენციაა!

ხუთი ცნობილი, ბრენდირებული კომპანიის გარდა, ბაზარზე არაბრენდირებული კომპანიებიც მუშაობენ და საბოლოოდ, მომხმარებლის გადასაწყვეტია, რომელ გასამართ სადგურზე და სად ჩაასხამს საწვავს. ამ პირობებში, მართლაც გაუგებარია, რატომ აგორდა ბინძური კამპანია ერთი, კონკრეტული კომპანიის წინააღმდეგ.

**– ბატონო ვანო, ცალკეული ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოში საწვავის გაიაფება შესაძლებელია, თუ მთავრობა აქციზის გადასახადს შეამცირებს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მთავრობა ამ ნაბიჯს არ გადადგამს და პრინციპში, არც უნდა გადადგას – ბენზინისა და დიზელის გარდა, თამბაქოც სააქციზო საქონელია და თუ აქციზის გადასახადი შემცირდება, ავტომატურად, სიგარეტიც გაიაფდება, რაც ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით, კატეგორიულად არ შეიძლება! რა არის ამ სიტუაციაში გამოსავალი?**

– საწვავის ფასზე მოქმედებს ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე არსებული მდგომარეობა, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში და აქციზის გადასახადი. საერთაშორისო ბაზარზე რა მდგომარეობაა, უკვე გითხარით, ლარის გაცვლითი კურსი მეტ-ნაკლებად სტაბილურია, მაგრამ ისეთი მყარი ნამდვილად არაა, რომ ფასები დაასტაბილუროს. რჩება აქციზის გადასახადი, რომლის შემცირებით, უფრო ზუსტად, კორექტირებით, ფასი დასტაბილურდება.

რა თქმა უნდა, გეთანხმებით, რომ თამბაქო არ უნდა გაიაფდეს, მაგრამ ეს არაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც მთავრობა აქციზის გადასახადს არ აკორექტირებს. პრობლემა ისაა, რომ თუ აქციზის გადასახადი შემცირდება, სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავლები მოაკლდება. აქედან გამომდინარე, აქციზის გადასახადის შემცირება ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს, მაგრამ ჩვენ მთავრობას ალტერნატიულ წინადადებას ვთავაზობთ – ესაა მცურავი აქციზი.

რას ნიშნავს მცურავი აქციზი? – როდესაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი იზრდება, ამ დროს აქციზის გადასახადი იმდენად მცირდება, რომ ბენზინისა და დიზელის საწვავი არ გაძვირდეს. როგორც კი საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი შემცირებას იწყებს, მაშინ აქციზის გადასახადი თავის ძველ ნიშნულს უბრუნდება. ესაა რეალური გამოსავალი და სხვაგვარად, მცურავ აქციზს თურქულ პროექტსაც უწოდებენ, რადგან ჩვენს მეზობელ თურქეთში, სწორედ მცურავი აქციზის გადასახადი მოქმედებს. თურქეთის გარდა, ეს მოდელი ბევრ სხვა ქვეყანაშიც წარმატებით მუშაობს.

დღეს, საწვავის ფასს ვერაფერი ასტაბილურებს ანუ მცურავი აქციზის გარდა, სხვა, რეალური შემაკავებელი მექანიზმი არ არსებობს. სახელმწიფოს სხვა ბერკეტი არ გააჩნია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ ერთობლივად უნდა მიიღოს.

# ყველაზე ხანგრძლივი ხუთი შიმშილობა მსოფლიოში

ირუსა ხავთასი

**საქართველოს მსჯავრდებული მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, 40 დღეზე მეტია, პროტესტის ნიშნად, შიმშილობს. ასევე, პარლამენტში შიმშილობს ელენე ხოშტარია და კიდევ 10 დეპუტატი, რომლებიც სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანას ითხოვენ. ამ ფონზე, „ვერსია“ ისტორიაში ხუთ ყველაზე ხანგრძლივ შიმშილობას, მათ მიზეზებსა და იმასაც გაგახსენებთ, თუ რა შედეგით დასრულდა ეს შიმშილობები.**

## ვინ იყვნენ და რას აპროტესტებდნენ ადამიანები, რომლებმაც შიმშილობის რეკორდები დაამყარეს

### ცეზარ ჩავესი – 36 დღე

ცეზარ ჩავესი 1927 წელს, ღარიბი მექსიკელი მუშის ოჯახში დაიბადა. ჩავესმა ადრეულ ასაკში გაიაზრა, რომ ცხოვრებაში ადვილად ვერაფერს მიიღებდა და სწორედ ამიტომ, კალიფორნიისა და არიზონას სხვადასხვა ფერმაში დაიწყო მუშაობა. ჩავესი შეძრწუნებული იყო იმ მოპყრობითა და მუშაობის პირობებით, რისი გაძლებაც უწევდათ თანამემამულე მიგრანტ მუშებს. შეერთებულ შტატებში მათი სამუშაო პირობები უფრო მონურ შრომას ჰგავდა, ვიდრე ღირებულ სამუშაო ძალას შეეფერებოდა.

1962 წელს, ჩავესი შეეცადა, რამე შეცვალა, დააარსა „ეროვნულ ფერმერთა ასოციაცია“ და დაიწყო მიტინგებისა და საპროტესტო აქციების გამართვა. მალევე შეკრიბა ათასობით მხარდამჭერი. მიუხედავად ამისა, ცვლილებები მაინც არ მომხდარა. ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველაფერი უფრო სერიოზულ დონეზე გადაეყვანა.

ჩავესმა შიმშილობა რამდენჯერმე დაიწყო, რათა ყურადღება მიეპყრო ამ უსერიოზულეს პრობლემებზე. მისი შიმშილობებიდან ყველაზე გრძელი, 36-დღიანი შიმშილობა იყო, რა დროსაც 13 კგ. დაიკლო.

ჩავესი 1993 წელს გარდაიცვალა. ხალხმა მალევე გმირად აღიარა საქველმოქმედო საქმიანობისთვის და ხაზგასმით აღინიშნა მისი როლი მიგრანტ მუშაკთა პრობლემების მოგვარებასა და გამოკვეთაში.

### სოლანჟ ფერნექსი – 40 დღე

1934 წელს, საფრანგეთში დაბადებული სოლანჟ ფერნექსი, მალე გახდა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყანას ოდესმე უნახავს. მისი მთავარი პოლიტიკა ეხებოდა ცნობიერების ამაღლებას ატომური ენერგიის გავლენის შესახებ, რომელიც გარემოზე ახდენს გავლენას ისევე, როგორც პოტენციური კატასტროფა, რაც შეიძლება გამოიწვიოს რეაქტორის აფეთქებამ.

ამ პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სოლანჟის კამპანიამ მიიღო მონაწილეობა 40-დღიან შიმშილობაში იმ იმედით, რომ საზოგადოება ხმას მისცემდა ბირთვული დაშლის სასარგებლოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სოლანჟმა მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწია, თუმცა ისტორიაში მაინც შევიდა მისი, როგორც აქტივისტის, მამაცი ძალისხმევის გამო.

### ბობი სანდესი – 66 დღე

1954 წელს, ირლანდიაში დაბადებული ბობი სენდსი, ირლანდიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურაა.

1972 წელს, ბობი შეუერთდა IRA-ს (ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმია). 1976 წელს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, სადაც ოთხი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღის ტარების გამო იჯდა, დაბრუნდა ოჯახთან, დასავლეთ ბელფასტში, სადაც მეგობრებთან ერთად, დანმურიში, ბალმორალის ავეჯის კომპანიის დაბომბვა დაგეგმა.

მალევე, ორ კრიმინალურ ჯგუფს შორის ორმხრივი სროლა მოხდა, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. სენდსი და ჯგუფის დანარჩენი წევრები შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ, მაგრამ ისინი მალევე დააკავეს და ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისთვის, 14 წელი მიუსაჯეს. სენდსი ძალიან პრობლემური პატიმარი იყო და ხმაურის შემდეგ, საკანში, ავეჯის გარეშე, 22 დღე გაატარა, სადაც შიშველი იყო და შიმშილობდა. ამან გამოიწვია შემდგომი პრობლემები და ხმაური ციხეში, მათ შორის, „ბინძური პროტესტი“, როდესაც პატიმრებმა უარი თქვეს დაბანაზე და საკნების კედლები ექსკრემენტებით დაასველეს.

1981 წელს, სენდსმა დაიწყო შიმშილობა ცხრა ირლანდიელ რესპუბლიკელ პატიმართან ერთად, რათა გაეპროტესტებინა „სპეციალური კატეგორიის სტატუსის“ მოხსნა ანუ შეთანხმება, რომელიც აძლევდა მსჯავრდებულებს სპეციალურ პრივილეგიებს, როგორებიცაა უნიფორმის ტარება, გარკვეული სამუშაოს არშესრულება, დამატებითი ვიზიტები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვამ მიიპყრო მსოფლიო ყურადღება და ამ დროის განმავლობაში, სენდსი პარლამენტის წევრად იყრიდა კენჭს, საბოლოოდ მასსა და ცხრა დანარჩენ პატიმარს პროტესტი სიცოცხლის ფასად დაუჯდა. 66 დღის შემდეგ, საკვების მიღების გარეშე, სენდსი შიმშილით გარდაიცვალა.

სენდსის სიკვდილმა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაციონალისტურ რაიონებში არეულობა გამოიწვია, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, მარგარიტ ტეტჩერი, დათმობაზე არ წავიდა. სენდსის ქმედებამ გაყო მოსაზრებები, თუმცა ნათქვამია, რომ დარტყმებმა რადიკალიზაცია მოახდინა ირლანდიის ნაციონალისტურ პოლიტიკაზე და ეს პროცესი იყო ერთ-ერთი მუხტი, რამაც საშუალება მისცა, FÃ გამხდარიყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტია.

### ბჰაგატ სინგჰი – 116 დღე

ბჰაგატ სინგჰი იყო ინდოელი მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1931 წელს, უბანში, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. სინგჰი ჩაერთო ინდოეთის დამოუკიდებლობის მოძრაობაში, რომელიც ეძღვნებოდა ინდოეთში ბრიტანეთის მმართველობის დასრულებას, რის გამოც ის რამდენიმეჯერ მოხვდა ციხეში, თუმცა როდესაც სანდერსისა და ჩანან სინგჰის სავარაუდო მკვლელობისთვის დააპატიმრეს, მან

შიმშილობა გამოაცხადა – მოითხოვა ტანსაცმლისა და ჰიგიენის უკეთესი სტანდარტების შემოღება ციხეში და ასევე, პატიმრებისთვის ყოველდღიური ფიზიკური შრომის იძულებით მოთხოვნის დასრულება.

გაფიცვის გამოცხადებამ სინგჰის მიმზიდველობა და პოპულარობა იმდენად გაზარდა, რომ ბრიტანეთის მთავრობა ცდილობდა, სხვადასხვა ხერხით აეძულებინა, შეეწყვიტა შიმშილობა. სწორედ ამიტომ მიჰქონდათ საკანში საკვები თასებით, მაგრამ სინგჰი შეუპოვარი იყო და არაფერს შეხებია.

სინგჰმა შიმშილობა, საბოლოოდ, 1929 წლის 5 ოქტომბერს შეწყვიტა, ამ მომენტში, მას 53 კგ. ჰქონდა დაკლებული.

### ირომ ჩანუ სამილა – 16 წელი

მანიპურის რკინის ლედის სახელით ცნობილი და მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი შიმშილობის რეკორდის მფლობელი, ინდოელი წარმოშობის ირომ ჩანუ სამილა, 500 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში, ნებაყოფლობით არ ჭამდა საკვებს და არც წყალს იღებდა. ის მხოლოდ ცხვირის წვეთოვანის საშუალებით გადაარჩინა მთავრობამ.

ირომმა თავისი გასაოცარი კამპანია 2000 წლის 5 ნოემბერს, მას შემდეგ დაიწყო, რაც სავარაუდოდ, ინდოელმა ჯარისკაცებმა, ათი უიარაღო მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს მანიპურში. ინდოეთის შეიარაღებული ძალების სპეციალური აქტის შედეგად, სამხედროებს აქვთ უფლება, ესროლონ ნებისმიერ ადამიანს, თუ მისგან საკმარისად სერიოზულ საფრთხეს გრძნობენ.

ირომი დააპატიმრეს გაფიცვის დასრულებიდან სამი დღის შემდეგ, რადგან ინდოეთში თვითმკვლელობის მცდელობა სისხლის სამართლის დანაშაულია, ამიტომ მას იძულებით ჩაუდგეს წვეთოვანი სისტემა, რათა ცოცხალი შეენარჩუნებინათ. თუმცა, როგორც კი გამოჯანმრთელდა და პატიმრობიდან გათავისუფლდა, ირომმა ხელახლა დაიწყო შიმშილობა, რამაც საბოლოოდ განაპირობა მისი პატიმრობა განუსაზღვრელი ვადით.

საოცარია, რომ ირომს არ უჭამია და არ სვამდა საკუთარი ნებით 2016 წლის 26 ივლისამდე ანუ სრული 500 კვირის განმავლობაში. ამ დროს, ირომმა მოიპოვა უზარმაზარი მსოფლიო მხარდაჭერა და მოიპოვა აზიის ადამიანის უფლებათა კომისიის სიცოცხლის მიღწევების ჯილდოც კი.

# რატომაა სარისკო „შილაკის“ გაკეთება

გვანცა პეტრიაშვილი

## რა საფრთხეებზე საუბრობს დერმატოლოგი – ინტერვიუ ზაზა თელიასთან

**ქალბატონების უმეტესობას მოვლილი და ლამაზი ფრჩხილები ძალიან მოსწონს, თუმცა ცოტამ იცის, რომ ფრჩხილის ლაქის ერთ-ერთი, ყველაზე პოპულარული ალტერნატივა ჯანმრთელობის პოტენციურ რისკებს შეიცავს. ქალბატონების უმრავლესობა ფრჩხილის მოვლას ყოველდღიური რუტინის ნაწილად მიიჩნევს. „შილაკით“ გატაცებულ ადამიანებს ექსპერტები მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგან თვლიან, რომ ლაქის აღნიშნული ნაირსახეობა ჯანმრთელობის ფარულ საფრთხეებს შეიცავს. რამდენად სახიფათოა და რა დაავადებებს იწვევს გელ-ლაქი? – „ვერსია“ დერმატოლოგ ზაზა თელიას ესაუბრა.**

**– ბატონო ზაზა, იწვევს თუ არა გელ-ლაქი რამე დაავადებას და ზოგადად, რა საფრთხის წინაშე შეიძლება დავდგეთ ხშირი „შილაკით“?**

– „შილაკი“, რომელსაც სამედიცინო ენაზე გელ-ლაქი ჰქვია, რა თქმა უნდა, სერიოზული პრობლემაა...

**– რატომ?**

– „შილაკმა“ შეიძლება ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიწვიოს, მათ შორის, უშუალოდ ფრჩხილის დაზიანება, რაც შესაძლებელია, პირველი გაკეთების ან მოხსნის დროსაც კი გამოჩნდეს. შესაბამისად, როგორც „შილაკის“ გაკეთება, ასევე, მისი მოხსნაც დიდ პრობლემასა და საფრთხეს წარმოადგენს – ორივე შემთხვევაში, საგრძნობლად მატულობს ფრჩხილის დაზიანების რისკი.

შესაძლებელია, „გელ-ლაქმა“ ფრჩხილის ფერის ცვლილებაც განაპირობოს და ასევე, დაზიანდეს მიმდებარე ანუ ფრჩხილის გარშემო მდებარე კანი. ამ შემთხვევაში, მატულობს ისეთი ვირუსული ინფექციის განვითარების რისკი, როგორიცაა, მაგალითად, ჰერპესი.

ასევე, შესაძლებელია, განვითარდეს ბაქტერიული ინფექციაც, რომელსაც, როგორც წესი, სტაფილოკოკი იწვევს.

**– ამ საფრთხეების გათვალისწინებით, რა სიხშირით უნდა წავისვათ გელ-ლაქი და რამდენ ხანსაა რეკომენდებული, რომ ფრჩხილზე გავიჩეროთ? – ზოგადად, დერმატოლოგიური პროფილით რეკომენდებულია, რომ გელ-ლაქი საერთოდ შეზღუდოთ და არ გამოიყენოთ! ამის ნაცვლად, ქალბატონებს მოვუწოდებთ ხოლმე, რომ ჩვეულებრივი ლაქები მოიხმარონ, რომლის წასმა და მოხსნა, როგორც წესი, პრობლემას არ წარმოადგენს.**

რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ გელ-ლაქი იქნას გამოყენებული, არ არსებობს! თუმცა იმ გართულებების თავიდან ასაცილებლად, რაც ჩამოგითვალეთ, უმჯობესია, პერიოდულად, ფრჩხილები დაასვენოთ. ჩვეულებრივ, ოთხი თვის, ზოგჯერ ერთი წლის განმავლობაში უნდა დაასვენოთ ფრჩხილები, რომ აღდგენა შეძლოს და რისკებიც მინიმუმამდე დაიყვანოთ.

**– „შილაკი“ ჩვეულებრივი ლაქისგან იმით განსხვავდება, რომ ულტრაიისფერი სხივებით შრება?**

– პრობლემა მხოლოდ ულტრაიისფერი სხივები კი არა, თვითონ სტრუქტურაცაა ანუ როდესაც ხდება ფრჩხილზე დატანა, ის უფრო მყარ მასად გარდაიქმნება, მყარი მასის შემთხვევაში კი ფრჩხილი ზიანდება. მოხსნაც უფრო სახიფათოა, რადგან მას სჭირდება ფრჩხილის მექანიკური გასუფთავება და ამ დროს დაზიანების რისკიც იზრდება.

რაც შეეხება სხივებს, როდესაც ხელს ულტრაიისფერი სხივების ქვეშ დებენ, რეკომენდაციაა, რომ ისეთი ხელთათმანები გამოიყენოთ, რომელიც გადაჭრილი იქნება თითის ბოლოებთან, რათა ულტრაიისფერმა სხივებმა უშუალოდ ფრჩხილებზე იმოქმედოს. ამ რეკომენდაციებით, ფრჩხილებსა და ხელის კანს 100%-ით ვერ დაიცავთ, ამიტომ კიდევ ერთხელ გირჩევთ, გელ-ლაქის გამოყენება მაქსიმალურად შეზღუდეთ!

**– არსებობს თუ არა ალტერნატივა, რომ ულტრაიისფერი სხივები სხვა ნათურით ჩავანაცვლოთ, რომელიც უფრო უსაფრთხოა?**

– არა. ბუნებრივ პროცესს უნდა დაველოდოთ, როდის გაშრება ლაქი.

**– წელან ახსენეთ, რომ „შილაკის“ მოშორების პროცესი უფრო საზიანოა, ამ დროს ფრჩხილის ფირფიტა თხელდება. რამდენად საშიშია ეს პროცესი და შესაძლებელია, თუ არა, რომ ფრჩხილი ვეღარ აღდგეს?**

– რა თქმა უნდა, გელ-ლაქის მოშორების დროს, ფრჩხილი თხელდება და შეიძლება, ისე დაზიანდეს, რომ მისი გამოსწორება შეუძლებელი გახდეს. დამერწმუნეთ, ასეთი პრობლემებით ბევრი პაციენტი მყავს.

ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფრჩხილის ფირფიტის დათხელებისა და დაზიანების შემთხვევაში, უშუალოდ ფრჩხილის ინფექციისა და სოკოს – ონიქომიკოზის განვითარების რისკიც იზრდება.

**– რამდენად მნიშვნელოვანია ჰიგიენის ნორმების დაცვა, თუ ამ რისკების მიუხედავად, „შილაკის“ გაკეთებას მაინც გადავწყვეტთ?**

– აუცილებელია, რომ ხელსაწყოები გავასტერილოთ. ასევე, უკეთესია, თუ მომხმარებელს ექნება თავისივე ინსტრუნენტები. საყურადღებოა, ადამიანი როგორ იცავს ჰიგიენას, მათ შორის, ხელის დაბანის წესს – მაგიდის გასუფთავებიდან დაწყებული, ხელსაწყოების სტერილიზაციით დამთავრებული.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისეთი სისტემური ინფექციის განვითარების რისკი, როგორებიცაა B და C ჰეპატიტები, ასევე, შიდსი, მაღალია!

**– დაზიანების შემთხვევაში, სახლის პირობებში მკურნალობა შესაძლებელია, თუ აუცილებლად დერმატოლოგს უნდა მივმართოთ?**

– დერმატოლოგთან კონსულტაციის გავლა აუცილებელია! ეს იმიტომ, რომ ფრჩხილის დაზიანების შემთხვევაში, დიაგნოზი დერმატოლოგმა უნდა დასვას.

# სამართალი

№42 17 ნოემბერი 2021 წ


# კახეთში 83 წლის ქალი გაუპატიურების დროს მოკლეს



## 20 წლის სერიული მანიაკის აღსარება


ბათო ჯაფარიძე


**ბოლო წლებში უცნაურ დანაშაულებს მივეჩვიეთ. არასრულწლოვანთა გაუპატიურება და მკვლელობა, ახალგაზრდებს შორის გარჩევები და ისევ მკვლელობა, ნაცემი არასრულწლოვნების წყალში გადაგდება და სასიკვდილოდ გამეტება... ისე ჩანს, თითქოს სახე დავკარგეთ, თითქოს ადამიანების გარდაცვალებამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო და სტატისტიკად იქცა. მივეჩვიეთ სოციალურ ქსელში დატირებას და მომხდარიდან რამდენიმე საათში, სხვა თემებზე ღლიცინს, თუმცა სასტიკი დანაშაულები ადრეც ხდებოდა, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არავინ საუბრობდა და მაშინ, როცა არც ინტერნეტი იყო, არც – მობილური ტელეფონი და არც – ამდენი ტელევიზია, სისასტიკე იოლად იჩქმალებოდა.**

80-იანი წლების დასაწყისში, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში, თბილისთან ძალიან ახლოს, უცნაური დანაშაული მოხდა. საკუთარ სახლში, 83 წლის ქალი მოკლეს, თუმცა მკვლელობაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ ქალი გაუპატიურებული იყო. ექსპერტების დასკვნით, ქალი გაუპატიურების პროცესში მოკლეს, რაც უფრო მეტ გაკვირვებას იწვევდა. პირველი ის, რომ 83 წლის ქალის გაუპატიურება თავისთავად ანომალია იყო და მეორე – გაუპატიურების პროცესში მკვლელობა დამნაშავის ფსიქიკურ გადახრაზე მიუთითებდა. გვამს ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები მხოლოდ ერთ, მარცხენა მხარეს ჰქონდა ანუ როცა მკვლელი აუპატიურებდა, თან მარჯვენა ხელით გულის არეში აყენებდა ჭრილობებს.

„საქმეს საიდუმლო გრიფი მაშინვე დაედო, რადგან ოფიციალურად, სსრკ-ში, მაანიაკები არ გვყავდა. ეს მკვლელობა კი პირდაპირ მიუთითებდა, რომ საქმე არანორმალურთან გვქონდა, მაგრამ სისტემის წინააღმდეგ ხომ ვერ წავიდოდით? ამიტომაც, საიდუმლო გრიფი არ გამიპროტესტებია და ისე შევუდექი გამოძიებას“, -იხსენებს ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პირველ რიგში, სამართალდამცავებმა კარტოთეკა გადაქექეს და იმ პირებით დაინტერესდნენ, რომლებსაც ნასამართლეობა, სწორედ ასაკოვან ქალებზე ძალადობის გამო ჰქონდათ. მათგან თავისუფლებაზე ორი იყო და ორივეს ალიბი გადაამოწმეს. გამოძიებისთვის სამწუხაროდ, ორივეს მყარი ალიბი აღმოაჩნდა და ძიება სხვა მიმართულებით უნდა წასულიყო. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა მილიციის თანამშრომლები აგენტურული ქსელის იმედად იყვნენ, მეორე დანაშაული მოხდა – ისევ მოხუცი ქალი, ისევ ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობები, მაგრამ ამჯერად, თავდამსხმელის გარდა, ყველას გაუმართლა – ქალი გადარჩა და მეორე დღეს ჩვენების მიცემაც შეძლო. მისი თქმით, თავდამსხმელი ძალიან ახალგაზრდა, მაქსიმუმ, 20 წლის იქნებოდა და როცა აუპატიურებდა, ბოლო ხმაზე უყვიროდა მოხუცს, იმოძრავე, იმოძრავეო და გვერდში დანის წვერს ურჭობდა. დანის ჩხვლეტით მიყენებული ტკივილის გამო, ქალი იკლაკნებოდა, მაგრამ ყვირილს ვერ ახერხებდა, რადგან მოძალადეს მეორე ხელი პირზე ჰქონდა დაფარებული. შემდეგ, სტრესისა და ტკივილის გამო, ქალი გაითიშა და როცა აზრზე მოვიდა, მარცხენა ფერდიდან სისხლი სდიოდა, თავდამსხმელი კი არსად ჩანდა.

„სამინისტროში ლამის გაგიჟდნენ, ჯერ 83 წლის ბებო, ახლა 79 წლის მოხუცი... ყველა ხვდებოდა, რომ საქმე ფსიქიკურად არანორმალურ ადამიანთან გვქონდა. გადავატრიალეთ ფსიქიატრიული საავადმყოფოები და ვერაფერს მივაგენით. დამნაშავე თითქოს ცამ ჩაყლაპა. ასე გავიდა ჯერ 6 თვე, მერე ერთი წელი, მერე კიდევ ერთი წელი... აღარც დანაშაული მომხდარა და აღარც მიახლოებით, მსგავსი შემთხვევა. გვეგონა, ეს კოშმარი დასრულდა, დამნაშავე ან შემთხვევით მოკვდა, ან სხვა დანაშაულზე დავაკავეთ და არ ვიცოდით. მოკლედ, მაქსიმალურად შევეცადეთ, ეს ამბავი დაგვევიწყებინა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ორი წლის შემდეგ, იმავე რაიონში, ტყეში მაყვლის საკრეფად წასულ ქალს ახალგაზრდა კაცი თავს დაესხა, წააქცია, ცალი ხელი პირზე ააფარა, მეორეთი ფერდში დანით ჩხვლეტდა და... ამ დროს, 80 წელს მიტანებულმა ქალმა იმდენი მოახერხა, რომ ხელი გაითავისუფლა, იქვე მოზრდილ ქვას მისწვდა და თავდამსხმელს თავში ძალუმად ჩაარტყა ჯერ ერთხელ, მერე – მეორედ, მესამედ და... თავდამსხმელი გაიქცა, ქალმა იქვე, მოძალადის მიერ დაგდებული დანა აიღო და მილიციაში მივიდა. სამართალდამცავები მიხვდნენ – ეს მათ მიერ ძებნილი და მოუხელთებელი პირი იყო, თუმცა ახლა გამომძიებლებს ორი სამხილი ჰქონდათ – პირველი და ყველაზე მთავარი – დანა, რომელზეც თითის ანაბეჭდები იყო შერჩენილი და დრო – პირველ და მესამე დანაშაულებს შორის. ეს ნიშნავდა, რომ ძალოვნები ამ პერიოდში დაკავებულებისა და შემდეგ გათავისუფლებულების კარტოთეკას გადახედავდნენ და მიხვდებოდნენ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დამნაშავე. ამასთან, დანაც ძალიან საინტერესო ნივთი იყო – არმატურის ნაჭერზე დანის პირი იყო დადუღებული. ეს ახლაა, რომ შესაძლოა, ნებისმიერ ადამიანს შინ შესადუღებელი აპარატი ჰქონდეს, მაშინ კი ისინი მხოლოდ საამქროებში იყო და ისიც ერთეულებში. ამიტომ, გამომძიებლებმა დანა სწორედ იმ საამქროებში წაიღეს, სადაც შესადუღებელი აპარატი ჰქონდათ და ერთ-ერთი შემდუღებელი გამოტყდა – დაახლოებით, 2-3 წლის წინ გავაკეთე, პატარა ბიჭმა მთხოვა, სათევზაოდ დავდივარ და მჭირდება ხოლმეო.

სამართალდამცავთა სამწუხაროდ, შემდუღებელმა ვერც ბიჭის აღწერილობა გაიხსენა, ვერც – სახელი და ამოცნობაც გამიჭირდებაო, აღნიშნა. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ორი წლის წინ, მკვლელობა და დაჭრა სწორედ აღნიშნული დანით იყო განხორციელებული. უფრო დასანანი კი ის იყო, რომ დანის ტარსა და პირზე არსებული ანაბეჭდები კარტოთეკაში არსებული არცერთი კრიმინალისას არ დაემთხვა ანუ მოძალადის ორწლიანი გაუჩინარების მიზეზი არ იყო ციხეში ჯდომა, ის სხვა მიზეზით გაქრა.

„ფსიქოლოგებმა მისი პორტრეტი შექმნეს და აგვიხსნეს, რომ დამნაშავე ორი წელი ვერ გაჩერდებოდა, ამისთვის მას ფსიქიკური მდგრადობა არ ეყოფოდა. შესაბამისად, ის ან სხვაგან სჩადიოდა დანაშაულს, ან ისეთი გარემო ჰქონდა, სადაც ამას, უბრალოდ, ვერ ახერხებდა. ასეთი გარემო კი მხოლოდ ციხე იყო და ციხეში სავარაუდო ეჭვმიტანილი ნაჯდომი არ იყო. კარტოთეკები კიდევ ერთხელ გადავქექეთ და არა მარტო საქართველოს, არამედ, საკავშირო მასშტაბით გამოვითხოვეთ ანალოგიური დანაშაულების სტატისტიკა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საკავშირო მასშტაბით, მსგავსი დანაშაული სულ ორი იყო – ერთი რუსეთში, მეორე – ყირგიზეთში, თუმცა ორივე შემთხვევაში, დამნაშავეები დააკავეს და ისინი სასჯელს იხდიდნენ. გამოდიოდა, რომ ქართველი მანიაკი იმ საქმეებთან კავშირში არ იყო და სწორედ აქ გაეხსნა ერთ-ერთ ოპერმუშაკს გონება. იმის გათვალისწინებით, რომ თვითმხილველები თავდამსხმელის ასაკს 20 წლის ფარგლებში ასახელებდნენ, გაჩნდა ვერსია, რომ მოძალადე, უბრალოდ, ჯარში გაიწვიეს. ჯარი, საბჭოთა კავშირის დროს, ციხეს არაფრით ჩამოუვარდებოდა – დახურული და მკაცრი სისტემა, კონტროლი ყოველ წუთს და გარნიზონიდან გასვლის უდიდესი პრობლემა. დაიწყეს ჯარში მყოფი ახალგაზრდების შემოწმება და ეჭვი ერთ-ერთ მათგანზე მიიტანეს. არა იმიტომ, რომ კრიმინალური წარსული ჰქონდა, ან იმიტომ, რომ ცუდად ხასიათდებოდა, უბრალოდ, დროში ზუსტად ემთხვეოდა ყველაფერი. მისი ფოტო აჩვენეს შემდუღებელს, რომელმაც ვერც „ჰო“ თქვა და ვერც – „არა“. სამაგიეროდ, გადარჩენილმა ქალმა დაბეჯითებით განაცხადა, ეს იყოო. გამოძიებას დანაზე ანაბეჭდის გარდა, სხვა სამხილიც ჰქონდა – პირველად გაუპატიურებული და მოკლული ქალის სხეულიდან აღებული სპერმის ნიმუში. ამიტომ, ეჭვმიტანილი დააკავეს და ყველაფერი დაემთხვა. ახლა მთავარი ის იყო, რა აიძულებდა ამ ახალგაზრდას მოხუცებთან დაემყარებინა კონტაქტი.

„ჩემებს, ჩემს გარდა, შვილი არ ჰყავდათ. ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით და როცა სოფელში ბებიას სახლი დაეწვა, ისიც ჩვენთან გადმოსახლდა. მშობლები იძულებულნი გახდნენ, ერთოთახიაანი ბინა უბრალო ფარდით გადაეტიხრათ, ერთ მხარეს მე და ბებიას გვეძინა დიდ ტახტზე, მეორე მხარეს – მშობლებს. მე, 16-17 წლის ბიჭი, პერიოდულად ვისმენდი ხმებს მეორე მხრიდან, როცა ჩემი მშობლები ცდილობდნენ, მაქსიმალურად მშვიდად ეკეთებინათ ის, რასაც, როგორც წესი, თანაცხოვრების დროს, ქალი და კაცი აკეთებენ, მაგრამ თუ მამა ნასვამი იყო და ეს არცთუ იშვიათად ხდებოდა, არავინ არაფერს ერიდებოდა. ბებიას ვეცოდებოდი და გულში მიკრავდა, ცდილობდა, ყველაფერი ეს არ გამეგონა და მთელი სხეულით მეხუტებოდა, ხელისგულებს ყურებზე მაფარებდა. მაშინ, იმ ასაკში, ერთი სული მქონდა ბებიასთვის ტანსაცმელი შემომეხია, მაგრამ ვიცოდი, ამას არავინ მაპატიებდა და ვერც ვერავინ გაიგებდა. მერე, როცა პირველად წავედი ქალთან, მივხვდი, ახალგაზრდა გოგო, უბრალოდ, გულს მირევდა, მე ბებიაჩემის ასაკის ქალი მინდოდა, მაგრამ ვინ დამთანხმდებოდა? ასე მოხდა პირველი გაუპატიურება და მკვლელობა, მერე – მეორე და ვეღარ გავჩერდი. მეგონა, ჯარი დამავიწყებდა, მაგრამ არაფერი მეშველა“, – დაახლოებით, ამ აზრის გამოტანა შეიძლებოდა დაკავებულის აღსარებიდან.

საბჭოთა სასამართლომ ასაკის გამო (?!), ახალგაზრდას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# როგორ იქცა ეჭვიანი ქმარი სერიულ მკვლელად

## მეგობრის სახუმარო წერილით დაწყებული დიდი ტრაგედია

ბათო ჯაფარიძე

**ქართული ფილმი „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, ალბათ, ყველას გაქვთ ნანახი. ფოსტალიონის პროფესია, რომელიც ადრე ძალიან დასაფასებელი იყო და ფოსტალიონების გამოჩენას ბევრი მოუთმენლად ელოდა, ახლა, უბრალოდ, აღარ არსებობს. არიან ფოსტის კურიერები და რაც მთავარია, აღარავის მოაქვს შინ ჟურნალ-გაზეთები. სამწუხაროდ, ჩვენში ეს ტრადიციაც მოკვდა. ფოსტალიონს იცნობდა ყველა – ერთი ადამიანი რამდენიმე კორპუსს ემსახურებოდა, სოფლებში კი საკუთარი ფოსტალიონები ჰყავდათ და, რა თქმა უნდა, მათაც ყველა იცნობდა.**

„დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, ფოსტალიონი ქალი მოკლეს. იმის გათვალისწინებით, რომ ფოსტალიონობა ჩვეულებრივი პროფესია არ იყო – დაჰქონდა წერილები, დეპეშები, ამანათები და შეიძლებოდა, რამე ისეთი გაეგო, რაც კანონსაწინააღმდეგო გახლდათ, საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს და მივლინებით დასავლეთში გამიშვეს“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილ ფოსტალიონს ოთხი შვილი ჰყავდა, ოთხივე ბიჭი და სოფელში, როგორც თავად ქალი, ისე მისი შვილები ავტორიტეტით სარგებლობდნენ. წესიერი, მშრომელი ადამიანები იყვნენ და ვერავინ ხვდებოდა, ვის და რატომ უნდა მოეკლა ქალი, რომელიც მთელ სოფელს უყვარდა. მკვლელობა სოფლის განაპირას, ტყეში მოხდა. ამ ტყეში ბილიკი გადიოდა, რომელიც ცენტრალურ გზას საგრძნობლად ამოკლებდა და მთელი სოფელი ამ ბილიკით სარგებლობდა. ქალს თავში მძიმე საგანი ჰქონდა ჩარტყმული, არც გაძარცვული იყო, არც არავის უძალადია. ფოსტაში ყველა წერილი და გაზეთი გადაამოწმეს, რომელიც იმ დღეს ფოსტალიონს გაატანეს და გაარკვიეს, რომ ჩანთაში ყველაფერი ხელუხლებლად იდო. გადაამოწმეს სხვა დღეები, არაფერი განსაკუთრებული, არავის ამანათი არ მიუღია და წერილებიც ისეთი იყო, სამართალდამცავებში ეჭვს რომ არ იწვევდა. სამაგიეროდ, მეზობლებმა თქვეს, ორი კვირის წინ, სოფელში, ერთ-ერთ ოჯახში კონფლიქტი მოხდა, ქალი სახლიდან გაიქცა და სწორედ ფოსტალიონი ჩაერიაო, მაგრამ რა ფორმით, არავინ იცოდა.

გამომძიებლები აღნიშნულ ოჯახში მივიდნენ. მართლაც, ცოლ-ქმარს კამათი მოუვიდათ, რის შემდეგაც ქალი სახლიდან წავიდა. თურმე, ფოსტალიონი წერილებს წერდა ხან ერთს, ხან – მეორეს და ისინი ასე შეარიგა ანუ გარდაცვლილმა მაქსიმუმი გააკეთა, რომ ოჯახი არ დანგრეულიყო და როცა სიმართლე გაირკვა, ცოლ-ქმარმა ფოსტალიონს მადლობა გადაუხადა, შოკოლადის ფილაც კი აჩუქა და ახლა ისინი მისი გარდაცვალების გამო ძალიან წუხდნენ.

„გადავამოწმეთ ყველა, ვისი გადამოწმებაც კი შეიძლებოდა. მისი შვილების მეგობრები, მოვიძიეთ, ჰქონდათ თუ არა მათ კონფლიქტი, მაგრამ ვერაფერს მივაგენით. ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა – ამ ოჯახს მტერი არ ჰყავდა, სოფელში ყველას უყვარდა და პატივს სცემდა. შესაბამისად, წარმოიშვა მეორე ვერსია – ტყის ბილიკზე ფოსტალიონმა დაინახა ისეთი რაღაც, რაც არ უნდა დაენახა და ამიტომ მოიშორეს, თუმცა აღნიშნულ სოფელში, კრიმინალის მიმართულებითაც ყველაფერი რიგზე იყო. ერთადერთ კაცს ჰქონდა სასჯელი მოხდილი და მასაც ავარიის გამო, თუმცა ის კაცი, აგერ, უკვე მეშვიდე წელი იყო, რაც ციხიდან გამოვიდა და ჩვეულებრივი, მშრომელი გლეხი იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან სამ კვირაზე მეტი იყო გასული, როცა იმავე ბილიკზე, ახალგაზრდა გოგოს დაესხნენ თავს. გოგონა სკოლის მოსწავლე იყო, შინ ბრუნდებოდა, როცა ვიღაცამ უკნიდან თავში მძიმე საგანი ჩაარტყა და ადგილზე დატოვა. გოგონა სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. სოფლელებიცა და სამართალდამცავებიც მიხვდნენ, რომ ყველაფერი ეს, შემთხვევითი არ იყო და ვიღაც შეგნებულად ესხმოდა თავს ქალებს. დაიწყო იგივე პროცედურები, შეისწავლეს გოგონას სამეგობრო და ისევ არაფერი – ჩვეულებრივი სოფლელი გოგო, რომელიც სკოლას ამთავრებდა და იქვე, რაიონში არსებულ ტექნიკუმში სურდა გამოცდების ჩაბარება. არც გოგონას მშობლებს ჰყავდათ მტრები და ამიტომ, შურისძიების მიზნით თავდასხმის საბაბს ვერავინ ხედავდა.

ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ვიღაც ყველაფერს შეგნებულად აკეთებდა, ხოლო მეორე მხრივ, არ არსებობდა მოტივი არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში. თუ ფოსტალიონს რამდენიმე მანეთი ჰქონდა, გოგონას ოქროს საყურეები და ოქროს ყელსაბამი ეკეთა. თავდამსხმელმა ხელი არცერთს არ ახლო, არც იძალადა, ამის მცდელობაც კი არ ჰქონია. მაშ, რა იყო მიზეზი, რომ ვიღაც ქალებზე ნადირობდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა ასაკს?!

იყო კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში, ქალებს გაქცევა არ უცდიათ. ეს ნიშნავდა, რომ ისინი თავდამსხმელს არ მორიდებიან ანუ იცნეს, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ თავდამსხმელი იმავე სოფლიდან იყო და მისგან საფრთხეს არ ელოდნენ. ყველა ლოგიკით, თავდამსხმელი კიდევ უნდა გამოჩენილიყო და ასეც მოხდა – ერთი კვირის შემდეგ, ტყის ბილიკზე მიმავალ ქალს უკნიდან კვლავ რაღაც ჩაარტყეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, სამართალდამცავებს მოწმეც ჰყავდათ – ტყეში კენკრის საკრეფად წასულმა სხვა ქალმა დაინახა, როგორ ჩაუქროლა ვიღაც ცხენიანმა კაცმა ქალს და როგორ ჩაარტყა თავში ჯოხისმაგვარი საგანი, მაგრამ დარტყმის სიძლიერითა და ჭრილობით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ თავდასხმის იარაღი რკინის ნაჭერი იყო და არა – ჯოხი. მიხვდნენ სამართალდამცავები, რომ ორივე შემთხვევაში, დაზარალებულების გარშემო ფეხის ანაბეჭდი იმ მიზეზით არ იყო, რომ თავდასხმელი ცხენზე იჯდა.

ცხენი სოფელში ექვს ოჯახს ჰყავდა. აქედან საეჭვო ერთიც არ იყო, მაგრამ მათი ძირეული შესწავლა მაინც დაიწყეს. მცირე ეჭვი ერთ ახალგაზრდა კაცზე მიიტანეს, რომელსაც ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. როგორც ამბობდნენ, კაცი ოჯახზე გიჟდებოდა, ცოლ-შვილი ძალიან უყვარდა, მაგრამ ბოლო დროს შეიცვალა და თუ მანამდე, ცოლის გარეშე არსად დადიოდა, ახლა ქალი შინ გამოკეტა და უკვე 6 თვე იყო, არსად უშვებდა. სამართალდამცავები მის დასაკითხად მივიდნენ და როგორც კი ეზოში შევიდნენ, ცხენი დაინახეს, უნაგირის სამაგრში კი რკინის მოკლე ნაჭერი იყო გაჩრილი. როგორც კი მასპინძელმა მილიციის თანამშრომლები ეზოში დაინახა, ღობეს გადაევლო და გაიქცა, თუმცა მაინც დააკავეს.

სახლის ჩხრეკამ არაფერი მოიტანა, ან რა უნდა მოეტანა, როცა დანაშაულის იარაღი უკვე ნანახი ჰქონდათ, მოტივი კი...

„დაკავებულის ცოლს სხეულზე ადგილი არ ჰქონდა, დალურჯებული რომ არ ყოფილიყო. ექსპერტიზის დასკვნით, ქალს ყოველდღიურად სცემდნენ და ჩალურჯებები, როგორც ახალი, ისე ძველი გახლდათ. დაკითხვაზე დაკავებულმა თქვა – ცოლი სიგიჟემდე მიყვარდა, საკუთარ თავზე მეტად, შვილებზე მეტად. ერთ დღეს, ანონიმური წერილი მივიღე, მწერდნენ, ცოლი გღალატობს და მეორე შვილი საერთოდ შენი არ არისო. გონება დამებინდა, ბავშვს დავაკვირდი და ჩემთან მსგავსება, მართლაც, ვერ აღმოვაჩინე. არადა, ოჯახისთვის ვაკეთებდი ყველაფერს და ყველაფერი მხოლოდ მათთვის მსურდა. როცა წერილი წავიკითხე, მივხვდი, რომ ქალის გამოსწორება არ იქნება, არასდროს უნდა ენდო ქალს. მთელი მოდგმა შემძულდა და გადავწყვიტე, როგორც კი მომენტი ჩამივარდებოდა, ნებისმიერი ქალი, ვინც უნდა ყოფილიყო, მომეკლა. პირველი ფოსტალიონი შემხვდა და მოვკალი, შემდეგ ის ახალგაზრდა გოგო... თუ არ დამხვრეტენ, ციხიდან რომ გამოვალ, იგივეს ვიზამ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სასამართლომ დაკავებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რაც ყველაზე საინტერესოა, სამართალდამცავებმა იპოვეს წერილი, რომელზეც მკვლელი საუბრობდა და დაადგინეს, რომ კაცს ის იმავე სოფელში მცხოვრებმა, მკვლელის ცოლის მეგობარმა მისწერა. მან იცოდა კაცის დიდი სიყვარულის ამბავი და უნდოდა, უბრალოდ, გახუმრებოდა, მას შემდეგ კი, რაც მიხვდა, რომ წერილის წაკითხვისთანავე, მამაკაცი ცოლს ყოველდღიურად სცემდა, შეეშინდა და გაჩუმდა. რეალურად, ქალს ქმრისთვის არასდროს უღალატია.

# ვინ არის ქალი, რომელმაც ორი „მზის შვილი“ სასიკვდილოდ გაიმეტა

## გრიფით „საიდუმლო“ საქმის შოკისმომგვრელი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

**ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, რუსეთის დედაქალაქში მოხდა და საიდუმლო გრიფი იმის გამო დაედო, რომ საქმის ფიგურანტები „მზის შვილები“ ანუ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები იყვნენ. საბჭოთა კავშირი კი არ აღიარებდა, რომ კომუნიზმის დიად ქვეყანაში, ასეთი ბავშვები იბადებოდნენ. უფრო მეტიც, როცა ასეთი ბავშვი დაიბადებოდა, საქმეში მილიციისა და უშიშროების თანამშრომლებთან ერთად, პარტიული ჩინოვნიკებიც ერეოდნენ და მშობლებს ურჩევდნენ, შვილზე უარი ეთქვათ და ახალშობილი სპეციალურ ინტერნატში გადაჰყავდათ, რადგან არავის ენახა ის, ვისაც, უბრალოდ, ერთი ქრომოსომით მეტი ჰქონდა. ეს საქმე გახსნის შემდეგ, როგორც მილიციის უმაღლესი სკოლის, ისე ძლევამოსილი „კა გე ბე“-ს სასწავლო პროგრამაში შევიდა. ყველაფერი კი, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად დაიწყო.**

ზაფხულის ერთ დღეს, მოსკოვში მდებარე კორპუსიდან ბიჭი გადმოვარდა. ეზოში მყოფებმა სასწრაფო და მილიცია ერთდროულად გამოიძახეს, თუმცა ბიჭს ცოცხალს ვერ მოუსწრეს – ადგილზე გარდაიცვალა. საინტერესო ის გახლდათ, რომ ვერცერთმა მეზობელმა ბიჭი ვერ იცნო, ჩვენს კორპუსში არ ცხოვრობსო. სამაგიეროდ, გამოჩნდა ორი მოწმე, რომლებმაც დაინახეს, როგორ იდგა ბიჭი კორპუსის სახურავის კიდესთან და, დაახლოებით, სამ წუთში, შემთხვევაც მოხდა. ვინაიდან ბიჭი ვერავინ იცნო, მორგში გადაასვენეს და მშვიდად დაელოდნენ, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, იმავე საღამოს მოაკითხავდნენ, მაგრამ არც იმ დღეს და არც მეორე დღეს, არავინ გამოჩენილა. ახალგაზრდა ბიჭი რომ არავინ მოძებნა, სამართალდამცავები დაიბნენ. შეტყობინება ახლომდებარე სოფლებსა და ქალაქებში გაგზავნეს, მაგრამ ამაოდ – დაკარგული ბიჭის შესახებ განცხადება მილიციის ერთ განყოფილებაშიც არ იდო.

მესამე დღეს, შვებულებიდან განყოფილების უფროსი, გვარად კარავაევი დაბრუნდა, მომხდარს გაეცნო, შემდეგ გარდაცვლილი ბიჭის სურათი დაათვალიერა და განაცხადა, ეს თავს არ მოიკლავდაო. თანამშრომლებმა გაოცებით შეხედეს, როგორ შეიძლებოდა ფოტოთი იმის მიხვედრა, მოიკლავდა თუ არა ადამიანი თავს და კარავაევმაც ახსნა.

„ამ ბიჭს დაუნის სინდრომი ჰქონდა. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები კეთილები არიან, ირგვლივ ყველა და ყველაფერი უყვართ, სიცოცხლე უყვართ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოდესმე, რომელიმე მათგანს თავი მოეკლა. ამიტომ, ის ვიღაცამ გადმოაგდო, რადგან დაუნის სინდრომის მქონეებს სუსტი კუნთები აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ კორპუსის სახურავზე ბიჭი დამოუკიდებლად ვერ ავიდოდა“, -განაცხადა კარავაევმა.

მაძებრებმა ლამის მთელი მოსკოვი გადააბრუნეს, მოიკითხეს ყველა ინტერნატი და სპეცდაწესებულება, სადაც „მზის შვილები“ ცხოვრობდნენ, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს, დაკარგულ ბიჭს არავინ ეძებდა. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა ხელების ჩამოშვებას აპირებდნენ, უცნაური შემთხვევა მოხდა – იმავე კორპუსის ეზოში, ქალი აივნის წინ გაშენებულ ყვავილებს უვლიდა, როცა ზემოდან... გოგონა დაეცა. გოგონაც, დაახლოებით, იმ ასაკის იყო, რამდენისაც პირველ ჯერზე გადმოვარდნილი ბიჭი და რაც მთავარია, გოგო გადარჩა, რადგან ქალმა ვარდნა შეაფერხა – ბალიშის როლი ითამაშა, თუმცა თავად ძალიან დაშავდა. უგონო მდგომარეობაში მყოფი და ფეხმოტეხილი ქალი კლინიკაში გადაიყვანეს, გოგონა კი იქვე, ხის ძირას იჯდა და იღიმოდა. მასთან პირველად კარავაევი მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და საავადმყოფოშიც გაჰყვა, რადგან ექიმებს მაინც უნდა შეემოწმებინათ.

საშიში არაფერი იყო, ტვინის მცირე შერყევა და მსუბუქი დაჟეჟილობა. ექიმებმა საავადმყოფოში მისი დატოვება გადაწყვიტეს, თუმცა კარავაევმა მაინც მოასწრო და რამდენიმე კითხვა ფრთხილად დაუსვა. გოგონამ თქვა, ჩემი მეგობარი გაფრინდა და მეც მასთან ერთად გაფრენა მინდოდაო. როცა მას გარდაცვლილი ბიჭის სურათი ანახეს, გოგონამ თავი დააქნია, სწორედ ეს არის ჩემი მეგობარიო. ერთი და იგივე კორპუსიდან ორი ბავშვი გადმოვარდა, თანაც ორივე დაუნის სინდრომის მქონე. ეს შემთხვევით რომ არ მომხდარა, ფაქტია. სამართალდამცავებმა მთელი კორპუსის გაჩხრეკა გადაწყვიტეს, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. მხოლოდ ის გაარკვიეს, რომ იმავე კორპუსში ცხოვრობდა ქალი, რომელსაც შინ აუტიზმით დაავადებული გოგონა ჰყავდა. როგორც დედამ თქვა, გოგონას დაბადებისთანავე, ქმარმა მიატოვა, არ ისურვა ავადმყოფფი ბავშვის გაზრდა, დედამ კი შვილი არ მიატოვა. გოგონა მთელი დღეები სკამზე იჯდა და ერთ წერტილს უყურებდა. ის არც საუბრობდა, რეაქცია არაფერზე ჰქონდა, უბრალოდ, ერთ წერტილზე ჰქონდა მზერა გაჩერებული.

რაც მთავარია, კორპუსის ყველა მცხოვრები ერთ ხმაში ამტკიცებდა, რომ მათ კორპუსში არცერთი გადმოვარდნილი ბავშვი არ ცხოვრობდა. ისე გამოდიოდა, რომ ისინი ვიღაცამ იქ სპეციალურად მიიყვანა, რათა შემდეგ სახურავიდან გადმოეგდო, მაგრამ ვინ და რაც მთავარია, რატომ? ამ კითხვაზე პასუხს სამართალდამცავები გადარჩენილი გოგონასგან ელოდნენ. მათ სურდათ, მისთვის არა მარტო ავბედით კორპუსში მცხოვრები ყველა ადამიანის ფოტო ენახებინათ, არამედ, გვერდით კორპუსებში მაცხოვრებლებისაც. ცხადი იყო, დიდ მანძილზე, დაუნის სინდრომით დაავადებულ ბავშვებთან ერთად, შეუმჩნევლად ვერავინ გადაადგილდებოდა, თუმცა მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – საავადმყოფოში მისულ სამართალდამცავებს გოგონას პალატა ცარიელი დახვდათ. არავინ იცოდა, სად გაქრა მოზარდი, ვინმემ მოიპარა, თუ თავისით წავიდა. გამომძიებლები მიხვდნენ, საქმე ჭკვიან დამნაშავესთან ჰქონდათ და ამიტომ, კორპუსის ყველა ბინა ახლიდან გაჩხრიკეს. პარალელურად, ოპერმუშაკები კორპუსის მცხოვრებთა ბიოგრაფიებს სწავლობდნენ და საინტერესო დეტალიც აღმოაჩინეს – ქალი, რომელსაც შინ აუტიზმით დაავადებული შვილი ჰყავდა, წლების წინ, იმ ინტერნატში მუშაობდა, სადაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ცხოვრობდნენ. ამიტომ, მისი სახლი განსაკუთრებულად გაჩხრიკეს და ბიჭის ტანისამოსიც ნახეს. არადა, ქალს ერთადერთი, აუტიზმით დაავადებული გოგო ჰყავდა და წესით, ბიჭის ტანსაცმელი არ უნდა ჰქონოდა.

სამართალდამცავებმა ქალი დააკავეს და კატეგორიულად მოსთხოვეს, გოგონას ადგილსამყოფელი ეთქვა. მან აღიარა, რომ „მზის შვილი“ ქალაქგარეთ გაიყვანა და ტყეში, ხეზე მიაბა. მილიციის თანამშრომლები ტყეში ქალთან ერთად წავიდნენ, მაგრამ იქ საოცარი სურათი დახვდათ – ტყე ალყაში ავტომატიან სამხედროებს ჰქონდათ მოქცეული, მის თავზე ვერტმფრენი ტრიალებდა და მილიციის სხვა თანამშრომლებიც იქ იყვნენ. როგორც გაირკვა, ციხიდან საშიში დამნაშავე იყო გაქცეული და მას ეძებდნენ. ქალმა კარავაევი და მისი ბიჭები იმ ადგილზე მიიყვანა, სადაც გოგო დააბა, მაგრამ იქ არავინ დახვდათ, გარდა გაჭრილი თოკისა. ძებნა გაგრძელდა და მიტოვებული შენობიდან გაქცეულის ყვირილიც გაისმა – აქ გოგონასთან ერთად ვარ, სამედიცინო დახმარება სჭირდება, მე ხელებაწეული გამოვალ და არ მესროლოთო. დამნაშავე, მართლაც მალე გამოჩნდა და ხელში აყვანილი გოგონა წვალებით მოჰყავდა. შემდეგ, დაკითხვაზე თქვა დაკავებულმა, ტყეში დაბმულ გოგონას შემთხვევით გადავაწყდი, ადამიანურად ავუშვი, მაგრამ არ მომცილდა, მუდმივად თან დამდევდა და მეხუტებოდა, ასეთი სითბო და სიყვარული არასოდეს მიგრძვნია, საოცარი ბავშვი იყოო.

გოგონას სამედიცინო შემოწმება მაინც ჩაუტარეს, ეჭვი ჰქონდათ, რომ დამნაშავეს შეიძლებოდა, მასზე ეძალადა და როცა ეს დაკავებულმა გაიგო, ყველაფერი დალეწა, ეგ როგორ მაკადრეთ, ნებას თუ მომცემთ, მაგ ბავშვს ვიშვილებო. ყველაზე საინტერესო კი დაკავებული ქალის ჩვენება გამოდგა.

„ჩემს გოგონას ვერაფერი მოვუხერხე, ის მთელი დღეები ერთ წერტილს უყურებდა. ამიტომ დავიწყე ინტერნატში მუშაობა, მეგონა, რომ რამე ახალს ვისწავლიდი, ან ჩემი შვილი იმ გარემოში ბევრად კონტაქტური გახდებოდა. მხოლოდ ამ გოგონამ და ბიჭმა გამოიჩინეს მისდამი ყურადღება, მთელი დღეები ეთამაშდებოდნენ და მანაც მოიხედა, რამდენჯერმე გაეთამაშა კიდეც. ეს ბავშვები არავის ახსოვდა, არავინ ითვლიდა, ამიტომ, იქაურ ექიმს გარდაცვალების ორი ცნობა მარტივად დავაწერინე და რვა წლის წინ, ბავშვები ჩუმად, სახლში მოვიყვანე. მათ ერთადერთი რამ ევალებოდათ – ჩემი შვილი უნდა გაერთოთ და ამას ახერხებდნენ კიდეც, თუმცა როცა გაიზარდნენ, მობეზრდათ და მხოლოდ ერთმანეთს ეთამაშებოდნენ. ამიტომ გადავწყვიტე მათი მოშორება, ჯერ ბიჭს ვუთხარი, კარლსონივით თუ გინდა იფრინო, უნდა გადმოხტე-მეთქი. სახურავზე ამომყვა, მაგრამ გადმოხტომა გადაიფიქრა, „პროპელერი“ არ მაქვსო. ამიტომ, ხელი ვკარი. შემდეგ გოგონას ჯერი დადგა, ვუთხარი, თუ შენს მეგობართან გინდა, უნდა გადახტე, ის ცაშია და მასთან გაფრინდები-მეთქი. ის თავისით გადმოხტა, მაგრამ გადარჩა. დანარჩენი კი თქვენც იცით“, – დაასრულა მოყოლა ქალმა.

სასამართლომ დაკავებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მისი შვილი კი შესაბამის ინტერნატში გადაიყვანა.

რაც შეეხება კარავაევს, მხოლოდ ამ საქმის შემდეგ გაიგეს კოლეგებმა, რომ მასაც „მზის შვილი“ ჰყავდა და სათუთად ზრდიდა. მან და მისმა მეუღლემ ბავშვი არ მიატოვეს და შინ წაიყვანეს, თუმცა საგანგებოდ მალავდნენ და მაშინ ასეთი ბავშვების გამოჩენას ყველა ერიდებოდა. საბედნიეროდ, დღეს ეს თბილი „მზის შვილები“ საზოგადოებაში ინტეგრაციას ახერხებენ და ძალიან, ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა ამ დიაგნოზის გამო, მშობლები მათზე უარს ამბობენ.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები „დიდგორი 2021“-ის საშტაბო და საველე კომპონენტებში მონაწილეობენ

უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი 2021“, რომელიც საომარ და კრიზისულ სიტუაციაში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებისა და ურთიერთქმედების დახვეწას ემსახურება, აქტიურ ფაზაშია. სწავლებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს 200-მდე წარმომადგენელი საშტაბო და საველე კომპონენტებში მონაწილეობს.

სწავლების აქტიურ ფაზაში, საველე კომპონენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ავიაციისა და სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალებთან კოორდინაციით გაათამაშეს. ოპერაციას სწავლების იმიტირებული გენერალური შტაბი საჯარისო ცენტრში განთავსებული მართვის პუნქტიდან აკვირდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთი დანაყოფის – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებს, სწავლების ფარგლებში, საშტაბო ნაწილში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტების წარმომადგენლები კრიზისების მართვის უწყებათაშორისი ოპერატიული ცენტრის ორგანიზებისა და მუშაობის პროცესში არიან ჩართულნი. სწავლებაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 10 თანამშრომელი მონაწილეობს, რომლებიც 5 დღის განმავლობაში, სამხედრო ბაზაზე თანამედროვე, ნატოს სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სივრცეში იმუშავებენ.

სწავლება წელს, პრემიერ-მინისტრის განკარგულებით ტარდება, რომლის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესს თავდაცვის ძალები ხელმძღვანელობენ. სწავლების განმავლობაში, სასწავლო აუდიტორიას მოუწევს ჰიბრიდულ გამოწვევებთან, მოწინააღმდეგის საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებსა და დეზინფორმაციასთან გამკლავება. წელს, სწავლებაში პირველად იქნება გამოყენებული ახალი სიმულაციური სისტემები – VBS 3 (ვირტუალური ბრძოლის ველი), რომლებიც საშუალებას აძლევენ საწვრთნელ ქვედანაყოფსა და სწავლების მაკონტროლებელ ჯგუფს, სწავლებაში მიმდინარე მოვლენები რეალურ დროში აკონტროლონ და საერთო ოპერატიულ სურათზე გამოსახონ.

## სასაზღვრო პოლიციის უფროსმა აშშ-ის საზღვაო ძალების მე-6 ფლოტის სარდალს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ შარაძემ აშშ-ის საზღვაო ძალების მე-6 ფლოტის სარდალს, ვიცე-ადმირალ ეუჯინ ბლექს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში (JMOC) აშშ-ს დელეგაციასთან ერთად უმასპინძლა.

JMOC-ში შეხვედრას, ვიცე-ადმირალ ეუჯინ ბლექთან ერთად, ესწრებოდნენ დელეგაციის წევრები: კონტრ-ადმირალი ჯეიმს მორლი (ნატო-ს საზღვაო დამრტყმელი და მხარდამჭერი ძალების მეთაურის მოადგილე), კონტრ-ადმირალი ენტონი კარულო (მე-6 ფლოტის სარდლის მოადგილე ოპერაციებისა და დაგეგმვის დარგში) და ბრიგადის გენერალი მარკუს ანიბეილი (ნატო-ს საზღვაო დამრტყმელი და მხარდამჭერი ძალების შტაბის უფროსი).

ნიკოლოზ შარაძემ ამერიკელ სტუმრებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და გაამახვილა ყურადღება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ წარმატებულ თანამშრომლობაზე.

აშშ-ის საზღვაო ძალების მე-6 ფლოტის მეთაურებთან, საზღვაო ხომალდების Mount Whitney-სა და Porter-ის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ოფიციალური შეხვედრები გაიმართა.

დელეგაციის წევრებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთისა და ბათუმის სამმართველოებშიც. სტუმრებს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა, I რანგის კაპიტანმა, რამაზ პაპიძემ უმასპინძლა.

ხომალდები ბათუმის პორტში 8 ნოემბერს შემოვიდნენ. საპორტო ვიზიტი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ურთიერთობას ნატოს მოკავშირეებსა და შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელოვან პარტნიორს – საქართველოს შორის, ასევე, ადასტურებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის წარმატებულ თანამშრომლობას

და მიზნად ისახავს საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერებას, აშშ-ის რეგიონული პარტნიორების სტაბილურობის უზრუნველყოფას, მზადყოფნისა და საზღვაო შესაძლებლობების გაზრდას.

ამერიკული გემები – USS Mount Whitney და USS Porter საზღვაო ოპერაციებს აშშ-ს საზღვაო ძალების მე-6 ფლოტის სამოქმედო არეალში ახორციელებენ. მე-6 ფლოტი, რომელიც ბაზირებულია ნეაპოლში, ერთობლივი და საზღვაო ოპერაციების სრულ სპექტრს ახორციელებს. ოპერაციები ტარდება მოკავშირეებსა და პარტნიორებთან კოორდინირებულად, რათა ხელი შეუწყონ ევროპასა და აფრიკაში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

## საქართველოს ტერიტორიულ წყლებში საზღვაო ვიზიტით მყოფ აშშ-ის ხომალდ Mount Whitney-ზე ოფიციალური მიღება გაიმართა

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ვიზიტით მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების მე-6 ფლოტის სამეთაურო ხომალდზე – USS Mount Whitney (LCC 20) ოფიციალური მიღება გაიმართა. ბათუმში აღნიშნულ ხომალდზე გამართულ მიღებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან და მაღალი რანგის სტუმრებთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ მაიორი ნიკოლოზ შარაძე დაესწრო. სტუმრებს მე-6 ფლოტის უფროსმა, ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურის მოადგილემ, ვიცე-ადმირალმა ეუჯინ ბლექმა, ხომალდ Mount Whitney-ის მეთაურმა, დანიელ პროჩაზკამ და აშშ-ის ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა უმასპინძლეს.

ხომალდზე გამართულ ოფიციალურ მიღებას ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე.

გემის ეკიპაჟმა სტუმრებისთვის საინფორმაციო ტური გამართა, რომელზეც ხომალდის მეთაურისგან, Mount Whitney-ის ამოცანების შესახებ, სრულყოფილი ინფორმაცია მოისმინეს.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის სამეთაურო ხომალდი – USS Mount Whitney (LCC 20) და საზღვაო ხომალდი – USS Porter (DDG 78), 8 ნოემბერს შემოვიდნენ.

ვიზიტი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ურთიერთობას ნატოს მოკავშირეებსა და შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელოვან პარტნიორს – საქართველოს შორის, ასევე, ადასტურებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის წარმატებულ თანამშრომლობას და მიზნად ისახავს საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერებას, აშშ-ის რეგიონული პარტნიორების სტაბილურობის უზრუნველყოფას, მზადყოფნისა და საზღვაო შესაძლებლობების გაზრდას.

ხომალდები – USS Mount Whitney და USS Porter საზღვაო ოპერაციებს ამერიკის მე-6 ფლოტის სამოქმედო არეალში ახორციელებენ. მე-6 ფლოტი, რომელიც ბაზირებულია ნეაპოლში, ერთობლივი და საზღვაო ოპერაციების სრულ სპექტრს ახორციელებს. ოპერაციები ტარდება მოკავშირეებსა და პარტნიორებთან კოორდინირებულად, რათა ხელი შეუწყონ ევროპასა და აფრიკაში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

# საქართველომ კარი გაიჯახუნა

გულახდილაად ვთქვათ – არავის ეგონა, რომ მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურში, საქართველოს ნააკრები შვედეთს არათუ დაამარცხებდა, არამედ, თამაშითაც დაჩაგრავდა და თავად შვედებსაც კი ათქმევინებდა, რომ საქართველოს მოგება ლოგიკური და სამართლიანი იყო. შვედების კარში ორი უპასუხო გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ხვიჩას მაატჩი. საოცარი შეხვედრა ჩაატარა მეკარე გიორგი ლორიამ, საიმედოდ ითამაშეს დაცვაში გურამ კაშიამ და დავით ხოჭოლავამ, ნახევარდაცვაში – კვეკვესკირმა და ლობჟანიძემ... მოკლედ, ეს იყო მატჩი, რომელიც მთელ გუნდს გამოუვიდა და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებს შანსი არ დაუტოვა. ამ მოგებით, ხუთგუნდიან ჯგუფში მეოთხე ადგილზე გავედით, მაგრამ... ბოლო ორი ოფიციალური შეხვედრის მოგება მაინც კარგის ნიშანი გვგგონია და ქართველ გულშემატკივართა უმრავლესობის არ იყოს, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი.

რაც შეეხება კვარაცხელიას. მისი შეძენა ამ ზაფხულს რამდენიმე კლუბს სურდა, თუმცა მოთხოვნილი თანხა – 20 მილიონი ევრო ყველას ეძვირა და კვარაც „რუბინში“ დარჩა. ახალი სეზონი შთამბეჭდავად ვერ დაიწყო, ამიტომ სპეციალისტები ამბობდნენ, რომ ტრანსფერის ჩაშლის გამო, დაითრგუნა და ფსიქოლოგიურად გატყდა. აი, შვედეთთან შეხვედრის შემდეგ კი კვარაცხელიას ტრანსფერზე კვლავ ალაპარაკდნენ და „რუბინის“ ხელმძღვანელობას მიადგნენ.

**„იცით რა, იქამდე, ვიდრე რამე არ მოხდება, ამ თემაზე კომენტარს აღარ გავაკეთებთ. თქვენ, ყველამ – ჟურნალისტებმა, მას თავი აუფეთქეთ – შედეგად, ორი თვე ფეხბურთს არ თამაშობდა“,** – ეს სიტყვები ყაზანური კლუბის სპორტულმა დირექტორმა, ოლეგ იაროვინსკიმ შვედეთთან მატჩის შემდეგ თქვა და კატეგორიულად მოითხოვა, რომ ხვიჩა მედიას მოაშორონ და მას მშვიდად ცხოვრების საშუალება მისცენ.

# შოთა არველაძე ბრიტანულ გამოცდას აბარებს

მას შემდეგ, რაც 2020 წლის ბოლოს, შოთა არველაძემ უზბეკური „ფახთაქორის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი საკუთარი ნებით დატოვა, უმუშევარია. ქართველი სპეციალისტი სხვადასხვა კლუბს რამდენჯერმე დაუკავშირეს, მაგრამ საქმე ბოლომდე არცერთხელ არ მისულა. ახლა კი ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ არველაძე მუშაობას ბრიტანეთში დაიწყებს, მაგრამ ინგლისსა თუ შოტლანდიაში, ჯერჯერობით, გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, მან იმ გამოცდის ჩასაბარებლად დაიწყო მზადება, რომელსაც არაევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები, ბრიტანეთში სამუშაო ვიზის მისაღებად აბარებენ.

რაც შეეხება კლუბებს: შოტლანდიური „რეინჯერსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი ლეგენდარულმა სტივენ ჯერარდმა დატოვა და და სამუშაოდ ინგლისურ პრემიერ-ლიგაში წავიდა. სტივი-ჯიმ ბირმინგემული „ასტონ ვილა“ ჩაიბარა, გლაზგოური კლუბი კი შოტლანდიის ჩემპიონატში უმწვრთნელოდ და პირველ ადგილზე დატოვა. შოთას „რეინჯერთა“ რიგებში 4 სეზონი აქვს გატარებული, იქაურობას კარგად იცნობს და, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არაა, მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავოს. ამის მიუხედავად, მაინც გვგგონია, რომ არველაძე სამწვრთნელო კარიერას ინგლისის ჩემპიონშიპის „ჰალში“ გააგრძელებს. ეს კლუბი, ინგლისის რანგით მეორე ლიგაში, 17 ტურის შემდეგ, ბოლოდან მესამე ადგილზეა და ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. კლუბს მძიმე ფინანსური კრიზისი უდგას და იყიდება, მყიდველი კი თურქი ბიზნესმენი აჩუნ ილიჩალი გახლავთ. მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია და იმ შემთხვევაში, თუ ილიჩალი „ჰალს“ გაიფორმებს, მთავარ მწვრთნელად თავის მეგობარს, შოთა არველაძეს მიიწვევს. ასე წერენ თურქული და ინგლისური გაზეთებიც და თავად ილიჩალიც არ უარყოფს, რომ „ჰალის“ შეძენის შენთხვევაში, მის თავკაცად, შოთას გარდა, სხვა მწვრთნელი ვერც კი წარმოუდგენია.

# ლიანა ჯოჯუას მარცხი და გაურკვეველი მომავალი

UFC-ს ერთადერთი ქართველი მებრძოლი ქალი, ლიანა ჯოჯუა შაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს რინგზე გავიდა და აღნიშნულ ორგანიზაციასთან კონტრაქტით გათვალისწინებული ბოლო ბრძოლა გამართა. მისი მეტოქე ამერიკელი კორტნი კეისი გახლდათ და იმის მიუხედავად, რომ 34 წლის კეისი დიდი მიღწევებით არ გამოირჩევა, მაინც მოახერხა ჩვენებურის დამარცხება. ახლა ძნელი სათქმელია, რას გადაწყვეტს ყველაზე პრესტიჟული საბრძოლო ორგანიზაცია, გაუგრძელებს თუ არა ლიანას კონტრაქტს და მისცემს თუ არა მას მომავალში თავის გამოჩენის შესაძლებლობას.

**„ბოდიში, რომ იმედები გაგიცრუეთ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ რატომღაც ბრძოლის მიმდინარეობა სხვანაირად ვიგრძენი, თუმცა, სინამდვილეში, ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც თავად იხილეთ. საკუთარი თავით იმედგაცრუებული ვარ. მადლობა ყველას, ვინც მხარს მიჭერდა და გვერდით მედგა მთელი ამ მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში. გრძელი და რთული პერიოდი იყო ბრძოლამდე. ბევრი სხვადასხვა გარემოება შეიქმნა. ძალიან მენატრება ჩემი ოჯახი, რომელიც თვეობით არ მინახავს და ვწუხვარ, რომ იმედი ბევრს გავუცრუე“,** – განაცხადა ნამატჩევს ჯოჯუამ.

# ტრავმა და დაქვეითების საფრთხე – ტოჩინოშინის მძიმე არჩევანი

გასულ უქმეებზე, ფუკოკაში, სუმოისტთა შორის წლის ბოლო სუპერტურნირი დაიწყო. ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე, იგივე, ტოჩინოშინი ტურნირზე დარეგისტრირებული იყო, მაგრამ წელის ტრავმის გამო, ბოლო დღეს ჩაეხსნა. არადა, ეს ტურნირი რომ გამოტოვოს, 2014 წლის შემდეგ პირველად, გორგაძე ქვედა დივიზიონში დაქვეითდება და სავარაუდოდ, კარიერის დასრულებაზეც იფიქრებს. სწორედ ამიტომ, ის მაქსიმალურად შეეცდება, ტურნირში თუნდაც შუა შეჯიბრებიდან ჩაერთოს, რაც მისი კლუბის პრეზიდენტმაც დაადასტურა.

**„ექიმების თქმით, წელის ტკივილის საბოლოო მორჩენას 2 კვირა ანუ ის ვადა სჭირდება, რა ვადაშიც ტურნირი დასრულდება. იმედიანად ვარ და მგონია, რომ ტკივილგამაყუჩებლების საშუალებით, რამდენიმე დღეში, ბრძოლას შევძლებ და შევეცდები, მაქსიმუმი გავაკეთო უძლიერესთა შორის დასარჩენად“,** – განაცხადა ტოჩინოშინმა.

# რონალდუ „მანჩესტერისთვის“ მწვრთნელს ეძებს




იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე სეზონში, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასული კრიშტიანუ რონალდუ 36 წლისაა, ტიტულების მოგებას გეგმავს და საერთოდ არ მოსწონს ის, რომ მისი ახალი გუნდი სასურველი შედეგებით ვერ გამოირჩევა. დიდი ხანია, ინგლისური გრანდის ბოსები მთავარი მწვრთნელის, ოლე გუნარ სოლსკიაერის შემცვლელს ეძებენ და სურთ, „წითელი ეშმაკები“ ზინედინ ზიდანმა გაწვრთნას, თუმცა, ჯერ-ჯერობით, ფრანგ სპეციალისტთან კონტაქტზე ვერ გავიდნენ. ეს მისია საკუთარ თავზე რონალდუმ აიღო.

**„ზიზუ საოცარი მწვრთნელია. როცა „რეალში“ ერთად ვიყავით, ის თავის საქმეს იდეალურად ასრულებდა და დარწმუნებული ვარ, შევძლებ „მანჩესტერის“ გაწვრთნაზე დავითანხმო“,** – განაცხადა რონალდუმ და როგორც წერენ, მოლაპარაკებებში აქტიურად ჩაერთო. ცნობისთვის, თუ ფრანგი ინგლისში მუშაობას დათანხმდება, წლიურ ჯამაგირად 12 მილიონ ევროს მოითხოვს და ამ თანხის გადახდის წინააღმდეგნი არც მანჩესტერელები არიან.

# ხავიმ „ბარსას“ შენება დაიწყო

კატალონიური „ბარსელონას“ ლეგენდა ხავიერნანდესი გუნდში მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე დაბრუნდა. დაბრუნებისთანავე, ახალმა თავკაცმა გუნდი, პრაქტიკულად, ყაზარმულ რეჟიმზე გადაიყვანა და მკაცრი შეზღუდვები დააწესა. ფეხბურთელები ბაზაზე ვარჯიშის დაწყებამდე 90 წუთით ადრე უნდა მივიდნენ, იქ უნდა ჭამონ, იქ უნდა დაისვენონ და ვარჯიშისთვის განეწყონ. დაგვიანება სოლიდური ფინანსური ჯარიმით დაისჯება. ფეხბურთელებს მატჩამდე ორი დღით ადრე ბაზის დატოვება საერთოდ აეკრძალათ. ასევე, აეკრძალათ ღამის ბარებში, საღამოს 8 საათის შემდეგ ყოფნა, აეკრძალათ სპორტის ექსტრემალურ სახეობებში მონაწილეობა, სკეიტზე დგომა, მოტოციკლით სიარული, წყლის თხილამურებით სრიალი. როგორც ამბობენ, ხავის ახალი წესები ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს.

ახალმა მწვრთნელმა პირველი ტრანსფერიც განახორციელა და ძველი მეგობარი და თანაგუნდელი, ვეტერანი დანი ალვეში გუნდში დააბრუნა. ალვეში ხავის წინადადებას სიხარულით დათანხმდა და რაც მთავარია, „ბარსელონაში“, ხელფასის სახით, კვირაში ერთ დოლარს მიიღებს ანუ ის გუნდში უსასყიდლოდ ითამაშებს.

**„მოგესალმებით, უკვე აქ ვარ, ბარსელონაში! ძალიან მიხარია თქვენთან ყოფნა და სახლში დაბრუნება. იმედია, მალე შევხვდებით. ძალიან მინდა, სიამოვნება მივიღო და დაგეხმაროთ იმ „ბარსელონას“ დაბრუნებაში, რომელიც ასე გვიყვარდა“,** – განაცხადა ალვეშმა დაბრუნების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ 12 ტურის შემდეგ, „ბარსელონას“ 17 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-9 ადგილზე იმყოფება. ბოლო ოთხი მატჩიდან, კატალონიელებმა 2 წააგეს, 2 კი ფრედ დაასრულეს.

# ტანდემი

სანდრო ასათიანი

პუტკუნა თითები მოუსვენრად დარბოდნენ თეთრ, სპილოსძვლის კლავიშებზე, ხან კი ნელა ფეხაბნეული კაცივით მიუყვებოდნენ აღმა-დაღმა, ან მოულოდნელად ჩერდებოდნენ ერთ ადგილას, თითქოს აღარასოდეს არ დაიძვრებიანო აქედან, – ასე იბადებოდა ჟორას დაუვიწყარი მუსიკა.

მაგრამ, მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ჟორა, ანუ ბენჟამენი წარმოშობით ფრანგი, მოწოდებით კი მუსიკოსი იყო. მისი მუსიკალური მისწრაფებანი ჯერ კიდევ ჩვილობაში გამოვლინდა. პირველი სიტყვა, რომელიც წარმოთქვა, იყო „ბაჰ“. წარმოგიდგენიათ, არც – დედა, არც – მამა, არამედ დიდი გერმანელი კომპოზიტორის სახელი. ბაბუამისმა იმთავითვე აღნიშნა და სათანადოთ შეაფასა ჟორას მუსიკალური მისწრაფებანი.

ცხოვრებამ ბევრი განსაცდელი მოუვლინა ჟორას ბავშვობაში. ჰოდა, ცხოვრების უკუღმართობაში გახლართულს მოხუცი ბაბუა ზრდიდა. ზრდიდა ერთ პატარა ოთახში საერთო სამზარეულოთი. თითქმის მთელი ოთახი უზარმაზარ საკონცერტო როიალს ეკავა. ასე რომ, ოთახში როიალის გარდა პატარა კედლის კარადა, ჟორას ლოგინი და ორი ტაბურეტი ეტეოდა. ბაბუა კი, როიალის ქვეშ იშლიდა ხოლმე ლოგინს. ამ ოთახში შემოსულს უნებლიედ გაგიჩნდებოდა კითხვა – საიდან გაჩნდა ეს ჩინებული ინსტრუმენტი ამ მოციცქნულ ოთახში? ამხელა ინსტრუმენტს ხომ ვერც კარებში შემოატევდით და ვერც ფანჯარიდან შემოკვეხებდით?

საქმე კი იმაში გახლავთ, რომ ეს შენობა ოდესღაც ერთ დიდგვაროვან ქალბატონს ეკუთვნოდა. ამას ჩინებული შენობის შელახულ ფასადზეც ამოიკითხავდით. ქალბატონი კლასიკური მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ. იგი მეცენატის უზადო გულით ახალგაზრდა ტალანტებს პატრონობდა, სტიპენდიებს უნიშნავდა და, საერთოდ, სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებით ცდილობდა დახმარებოდა მათ შემოქმედის რთულ გზაზე. ჟორას ბაბუაც – ოდესღაც ახალგაზრდა, კონცერტმეისტერი – ქალბატონის ერთ-ერთი ფავორიტი გახლდათ. ქალბატონის გარდაცვალების შემდეგ, ანდერძის თანახმად, სახლი, რომელშიც ის ცხოვრობდა, გადაეცა მათ, ვიზეც სიცოცხლეში უანგაროდ მზრუნველობდა. ასე რომ, მას მემკვიდრეთა მთელი ჯარი დარჩა.

როდესაც მემკვიდრეებმა დავა დაასრულეს, სახლის დარბაზები ოთახებად დაყვეს და მასში ცხოვრება დაიწყეს. ჟორას ბაბუას პატარა კუთხე ერგო, მაგრამ ეს არ იყო მისთვის მთავარი. მისი საკონცერტო როიალი კვლავ მასთან იყო. ბაბუამ თავისი საყვარელი ინსტრუმენტი კუთხეში მიაგორა და მის ირგვლივ კედლები ამოაშენა. ერთი ეგ არის, რომ ოთახი ძალიან პატარა გამოდგა. როიალი, შეიძლება ითქვას, ამ პატარა ოჯახის ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრი იყო. უფრო მეტიც, თუკი ოთახის საერთო ფართს მის ბინადართა მიერ დაკავებულ ფართებზე გავყოფდით, გამოვიდოდა, რომ როიალი ამ ოჯახის უფროსიც კი იყო.

დრო დაუღალავად მიაბიჯებდა წინ და თავისი კორექტივები შეჰქონდა ჟორას უშფოთველ ცხოვრებაში. ჟორა ჯერ კიდევ მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლობდა, როდესაც ბაბუა გარდაეცვალა. ბაბუისაგან მას უზარმაზარი მემკვიდრეობა ერგო: მუსიკისადმი სიყვარული, დიდი საკონცერტო როიალი, პატარა ოთახი საერთო სამზარეულოთი და ნიანგის ტყავის პორტფელი მოოქროვილი შესაკრავით. მართალია, ბოლო საუკუნის განმავლობაში პორტფელი საკმაოდ შეილახა და შესაკრავს აღარც ეტყობოდა, რომ ოდესღაც მოოქროვილი იყო, მაგრამ ჟორა მას სიამაყით დაატერებდა. ასე იყო თუ ისე, ჟორა და როიალი მარტონი დარჩნენ ამ უკიდეგანო სამყაროში. გარდა ამისა, ჟორა ძლივსძლივობით ეტეოდა თავის ლოგინში და ლოგინი წიგნის თაროებში გაცვალა, თვითონ კი როიალის ქვეშ იძინებდა, როგორც ამას ოდესღაც ბაბუა აკეთებდა. ამ ცხოვრებისეული პერიპეტიების მიღმა, ნათელმთვარიან ღამეებს ჟორა მიუჯდებოდა ხოლმე დიდ საკონცერტო როიალს და პუტკუნა თითები მოუსვენრად დარბოდნენ თეთრ, სპილოსძვლის კლავიშებზე, ხან კი ნელა ფეხაბნეული კაცივით მიუყვებოდნენ აღმა-დაღმა, ან მოულოდნელად ჩერდებოდნენ ერთ ადგილას, თითქოს აღარასოდეს არ დაიძვრებიანო აქედან. ამ დროს ჟორა ბატიფეხური ნაწერებით რაღაცეებს აფიქსირებდა გაცრეცილ ნოტების რვეულში. ასე იბადებოდა ჟორას მუსიკა. მუსიკის ჰანგები, თხელი კედლების წყალობით, მთელს სახლში იღვრებოდა. მართალია, მეზობლები, იბადებოდნენ და იზრდებოდნენ როიალის ჰანგებში და თავადაც მუსიკოსების შთამომავლები იყვნენ, მაინც სასტიკად ეწინააღმდეგებობდნენ ჟორას მუსიკალურ ტალანტებს. ისინი ათასგვარ საჩივრებს წერდნენ სათანადო ორგანოებში. მეზობლებს არ უყვარდათ ნათელი მთვარიანი ღამეები, მაგრამ ეს ყოველივე ხომ ცხოვრების პროზაა, ყოველივე ამის მიღმა ჟორას მუსიკაში ახალი ხმოვანება გაჩნდა, მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

* * *

იგი სასაცილოდ აცმაცუნებდა ულვაშებს. ნება-ნება ტკბებოდა მშვენიერი მუსიკით. აცმაცუნებდა ულვაშებს და იქით-აქეთ აქანავებდა თავს. ეს იყო პაწაწინა ქაღალდიჭამია ხოჭო. ხოჭო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის წიგნსაცავში ცხოვრობდა. რაც თავი ახსოვდა, სულ აქ იყო. ადრე, სანამ ხოჭოდ გადაიქცეოდა, ანუ სანამ კიდევ უფრო პატარა მატლი იყო, არც კი უფიქრდებოდა თავის ცხოვრებას. უდარდელად მიირთმევდა სხვადასხვა კომპოზიტორის ნოტებს. სხვათა შორის, სწორედ მაშინ ჩამოუყალიბდა მას მუსიკალური გემოვნება. მაშინ გაუჩნდა ერთგვარი ლტოლვა ვენის სკოლის მუსიკოსებისადმი. ახლა კი უკვე ზრდასრული ხოჭო იყო. ახლა ხშირად ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე, სამყაროს არსზე და ხვდებოდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. რომ საჭირო იყო, გასაქანი მისცემოდა თავის შინაგან ძალებს. ამისათვის კი ეს ბნელი სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობდა, სრულიად გამოუსადეგარი იყო. ხოჭოს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საცხოვრებელი ადგილი შეეცვალა. ამის საშუალება ადრეც ჰქონდა, როცა ნოტებთან ერთად კონსერვატორიის სამკითხველო დარბაზში აღმოჩნდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ მატლი იყო და ძლიერ შეეშინდა უზარმაზარი ნათელი სამყაროსი. ახლა კი ხშირად უბრუნდებოდა თავის ფიქრებში იმ უცნაურ და მისთვის ამოუცნობ ადგილს, სამყაროს, რომელიც სავსე იყო მოულოდნელობებითა და ფათერაკებით.

დრო დაუღალავად მიაბიჯებდა წინ და თავისი კორექტივები შეჰქონდა ზრდასრული, მაგრამ კვლავ პატარა ხოჭოს ცხოვრებაში. ერთხელაც, ისევ აღმოჩნდა სამკითხველო დარბაზში. ულვაშების ცაცუნით, ფრთხილად გამოყო თავი ნოტების ფურცლებიდან. ირგვლივ მიმოიხედა და შორიახლოს ძველი ნიანგის ტყავის პორტფელი შენიშნა. ერთხანს გაუნძრევლად იდგა. შემდეგ, მთელი თავისი ძალები მოიკრიბა და პორტფელისაკენ გავარდა. როდესაც პორტფელს მიუახლოვდა, ზუსტად თავისი შესაფერისი ხვრელი აღმოაჩინა...

ჯერ თავისი ახალი ბინა მოირგო. მერე კი, როდესაც მოშივდა, ბინას კარი გაუკეთა. ამ კარის საშუალებით, პორტფელის შიდა განყოფილებაში გადადიოდა, სადაც უამრავი ქაღალდი ეწყო ბატიფეხური ნაწერებით – ნოტებით. ფრთხილად გაუსინჯა გემო ნოტებს. მას არ მოეწონა ეს მუსიკა, გადამლაშებული მოეჩვენა. როდესაც დანაყრდა, თავის ახალ ბინას პაწაწინა ფანჯარაც გაუკეთა. უკეთესს ვერც ვერაფერს ინატრებდა საშუალო სტატისტიკური, ზრდასრული ხოჭო. იგი თან ერთ ადგილას იყო, ანუ თავის ბინაში და თან განუწყვეტლივ მოგზაურობდა. საკვებიც უხვად ჰქონდა.

დრო გადიოდა. პატარა ხოჭოს ცვლილებებთან დაკავშირებულმა ეიფორიამ გადაუარა. ჩვეულმა გრძნობებმა კვლამ წამოყვეს თავი. მას ისევ მოაწვა სევდა. ხოჭო ადგილს ვერ პოულობდა. აღარ იცოდა, რა ექნა. თავის უკანა ფეხებს ნერვიულად უსვამდა პატარა ფრთებს და უცნაურ ხმადაბალ ხმებს გამოსცემდა.

* * *

ისევ სავსემთვარიანი ღამე იყო. ჟორა როიალთან იჯდა ჩაფიქრებული. იდაყვები ინსტრუმენტზე ედო და დამძიმებული თავი ხელებით ეკავა. უეცრად კომპოზიტორის მგრძნობიარე სმენას რაღაც მელოდია მოესმა. ეს იმდენად უცნაური ხმები იყო, რომ მათ ვერც ერთი ინსტრუმენტი ვერ გამოსცემდა. თანაც ძალიან ხმადაბალი. ეს უთუოდ მისი შინაგანი ხმა იყო, რომელიც მშვენიერ მელოდიას კარნახობდა. ამ საღამოს ჟორას მუსიკაში რაღაც უცნაური, ახალი ხმოვანება გაჩნდა. მისი ოთახის მიღმა, მეზობლებიც კი გაკვირვებულნი უსმენდნენ იმ მშვენიერ მუსიკას, რომელსაც ჟორა ჰქმნიდა. ჟორა კმაყოფილი ჩანდა. ასეთი მუსიკა მას ჯერ არასოდეს არ დაუწერია. ამ საღამოს შემდეგ, სავსემთვარიან ღამეს, ჟორას სულ უფრო ხშირად ესმოდა თავისი შინაგანი ხმა. ხოჭოც კმაყოფილი იყო. ჯერ ერთი, მან ისწავლა როგორ დაეძლია მოწოლილი სევდა და მისმა შინაგანმა სამყარომ კვლავ იპოვა დაკარგული წონასწორობა. მეორეც, ყოველი ასეთი კონცერტის შემდეგ ნიანგის ტყავის პორტფელში სულ უფრო გემრიელი ნოტები ჩნდებოდა.

დრო დაუღალავად მიაბიჯებდა წინ და თავისი კორექტივები შეჰქონდა ჟორასა და ხოჭოს ცხოვრებაში. მეზობლების გარდა, ჟორას მუსიკით სხვებიც დაინტერესდნენ. ჟორა ნელ-ნელა პოპულარული კომპოზიტორი ხდებოდა. ახლა მისი მუსიკა მთელ ქალაქში ისმოდა. მუსიკა კაფეებიდან, სახლების ფანჯრებიდან იღვრებოდა. თავიდან ჟორა დაბნეული ჩანდა, თითქოს ერიდებოდა კიდეც პოპულარობა, მაგრამ ნელ-ნელა გემო გაუგო ახალ ცხოვრებას. მას აღარც თავისი როიალი მოსწონდა – ახლის ყიდვა გადაწყვიტა. თავისი ბინაც ძალზე პატარა და ახალი სტატუსითვის შეუფერებელი მოეჩვენა. რაც მთავარია, პირველ რიგში, ახალი პორტფელის ყიდვა გადაწყვიტა.

დრო მიდიოდა და ჟორამ, მართლაც, აისრულა სურვილები – ახალი როიალი, ახალი ბინა და ახალი პორტფელი, მაგრამ ბაბუის ნაანდერძევ პორტფელთან ერთად მის მუსიკაში გაქრა ის ხმოვანება, რომელიც ყველას ხიბლავდა. მართალია, ეს ბევრმა მსმენელმა ვერც კი შენიშნა. აღარც ჟორას ჰქონდა იმის დრო, რომ რამე შეენიშნა, მას აღარც თავისი შინაგანი ხმა ესმოდა. ჟორას მუსიკას მაინც ყველა უსმენდა – ის ხომ პოპულარული კომპოზიტორი იყო, ყველაფერი ინერციით მოძრაობდა.

ხოჭო კი, ნიანგის ტყავის პორტფელთან ერთად, ქალაქის ნაგავსაყრელზე აღმოჩნდა. ყველასგან მივიწყებული მარტოობაში გატაარა დარჩენილი ცხოვრება. ნახევრად მშიერი იშვიათად თუ წააწყდებოდა სადმე გემრიელ მუსიკას. სავსემთვარიან ღამეს კი იჯდა ხოლმე მოწყენილი ნაგვის გროვაზე და სევდიანი შესცქეროდა მთვარეს...

# ბოსტნეულის შიში ცხოვრებას ურთულებს

ბრიტანელი სტუდენტი გოგონა, ვიკი ლარიე აცხადებს, რომ ბოსტნეულის მიმართ პათოლოგიური შიში არ აძლევს საშუალებას, ჯანმრთელი კვების პრინციპები დაიცვას. როგორც 22 წლის ლარიე ამბობს, ბოსტნეულის მარტო დანახვის დროსაც კი პულსი უჩქარდება, ოფლი ასხამს და პანიკაში ვარდება. გოგონას ასეთი შეტევები ბავშვობიდან აწუხებს. ბოსტნეულის მიმართ ზიზღს ბევრი ბავშვი განიცდის, თუმცა, ჩვეულებრივ, ეს იმითაა გამოწვეული, რომ პატარებს სტაფილოს ან კომბოსტოს გემო არ მოსწონთ. ვიკის შემთხვევაში კი, საქმე გვაქვს ლახანოფობიასთან – ბოსტნეულის მიმართ ირაციონალურ შიშთან. სტუდენტის თქმით, ამ ფობიის გამო, ხორცით, ხილითა და მარცვლეულით იკვებება, ეს შიში უშლის ხელს, წავიდეს რესტორანში ან სუპერმარკეტში. როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, ლახანოფობია რამდენიმე ათას ბრიტანელს სტანჯავს. ზოგ შემთხვევაში, ბოსტნეულის ფოტოებიც კი შეტევას იწვევს.

# ანტიბაქტერიული საპონი საფრთხეს გვიქმნის?

როგორც სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით გაირკვა, ანტიბაქტერიული საპნის მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს. ლაბორატორიულ ვირთხებზე ჩატარებული ცდებისას, ცხოველთა ერთ ჯგუფს ჩვეულებრივ საკვებს აძლევდნენ, მეორე ჯგუფს კი საკვებში ნივთიერება ტრიქლოკარბონს ურევდნენ – ეს ნივთიერება ყველა ანტიბაქტერიული საპნის შემადგენლობაში შედის. შედეგად, იმ მღრღნელების სისხლში, რომლებიც ტრიქლოკარბონის შემცველ საკვებს იღებდნენ, ტრიქლოკარბონატის შემცველობა შედარებით გაზრდილი იყო. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც შემოკლდა. სწავლულები აცხადებენ, რომ ეს ნივთიერება აღწევს იმ ადამიანების სისხლშიც, რომლებიც რეგულარულად მოიხმარენ ანტიბაქტერიულ საპონს. შედეგები კი, შესაძლოა, ისეთივე სავალალო აღმოჩნდეს, როგორც მღრღნელებში.

# ყველაზე სულელური სასამართლო სარჩელები

ბოლო დროს, მსოფლიოში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს გამდიდრების ახალი ფორმა – ადამიანებს მრავალმილიონიანი სარჩელები შეაქვთ მსხვილი თუ მცირე კომპანიების, ტელევიზიების, პრესის წინააღმდეგ. ზოგიერთებმა, ლამის უფალ ღმერთსაც კი უჩივლეს. საქმის აღძვრის მიზეზი, შესაძლოა, სულაც თითიდან გამოწოვილი იყოს. ზოგიერთ ასეთ სარჩელს ახლა გაგაცნობთ.

პენსილვანის ქალაქ ქალაქ ჟანეტში მცხოვრებ პატრისია ფრენკჰაუზერს ძალიან უყვარდა ყურსასმენებით მუსიკის მოსმენა და რკინიგზაზე სეირნობა. ერთ-ერთი ასეთი სეირნობისას, ქალს მატარებელი დაეჯახა. პატრისიას გაუმართლა და გადარჩა. საავადმყოფოდან გამოსულმა კი სარკინიგზო კომპანიას უჩივლა – არსად იდგა გამაფრთხილებელი ნიშნები, რომ რკინიგზაზე მატარებლები მოძრაობენო.

35 წლის ავსტრალიელმა ქალმა ბუნებრივი მოთხოვნილება ვერანდაზე დაიკმაყოფილა და უბედურებაც ამ დროს შეემთხვა. საქმროსთან სტუმრად მყოფმა ქალმა დალია და ტუალეტში წასვლას, ვერანდაზე გასვლა ამჯობინა, რომელსაც გარშემო მოაჯირი არ ჰქონდა. ბუნებრივი მოთხოვნილების დაკლმაყოფილებისას, უკანალმა გადაწონა, ქალი ძირს ჩავარდა და ღობეს დაეცა. შედეგად კი სწორი ნაწლავის, ინტიმური ადგილებისა და შარდის ბუშტის მძიმე ტრავმები მიიღო. კლინიკიდან გამოსულმა ქალმა უკვე ყოფილ საქმროს უჩივლა – ვერანდა ცუდად იყო განათებული და არც მოაჯირი ჰქონდაო.

ამერიკაში, სკოლის ერთ-ერთმა მოსწავლემ გაკვეთილზე გართობა გადაწყვიტა – ორი მავთული აიღო და მკერდზე მიიერთა, ბოლოები კი მისმა მეგობარმა, მისივე თანხმობით, დენში შეაერთა. ძაბვამ ბიჭი არ მოკლა, მაგრამ მის ორგანიზმს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა, დაუზიანდა თავის ტვინი (თუ ასეთი ჰქონდა საერთოდ). ამ „ჭკვიანი“ ბიჭის მშობლებმა კი სასამართლოში მასწავლებელსა და სკოლის ადმინისტრაციას უჩივლეს – მათ მოსწავლე არ გააფრთხილეს, რომ ფიზიკის კაბინეტში არსებული ელექტრო-მოწყობილობები მას საფრთხეს უქადდა.

ერთმა რუმინელმა პენსიონერმა ბუქრესტიდან, ჟორჟი ვიციანუმ გადაწყვიტა, ესარგებლა მომსახურებით „სექსი ტელეფონით“. თუმცა, ამ სატელეფონო მეძავების საუბრები იმდენად მოსაწყენი აღმოჩნდა, რომ მოხუცს მათი მოსმენისას ჩაეძინა. გოგონები კი დროს ტყუილად არ კარგავდნენ და ყურმილთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. შედეგად, ბატონ ვიციანუსს 1425 დოლარის გადასახადი მიუვიდა – ეს ზუსტად მის წლიურ პენსიას შეადგენდა. გაოგნებულმა მოხუცმა სასმართლოს მიმართა, მაგრამ იქ მას დავალიანების გადახდა დააკისრეს. თუმცა, თანხის იგივე ოდენობით სექს-ტელეფონის მფლობელებიც დააჯარიმეს – „უხარისხო“ მომსახურებისთვის.

კიდევ ერთმა ქალბატონმა 10-მეტრიანი ტრაილერი, „სახლი ბორბლებზე“ შეიძინა და პირველ დამოუკიდებელ მოგზაურობაში გაემგზავრა. შოსეზე მოძრაობისას, მან კრუიზ-კონტროლი (ავტო-პოლიტის მსგავსი) ჩართო და თავად „სახლის“ სამზარეულოში გავიდა სენდვიჩების მოსამზადებლად. ტრაილერი, რასაკვირველია, გზიდან გადავიდა, ხეს შეეჯახა და ამოყირავდა. მიუხედავად საკუთარი უგუნურებისა, ქალმა მანქანის მწარმოებელს უჩივლა – ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში არაფერი წერია იმის შესახებ, რომ კრუიზ-კონტროლის ჩართვისას, საჭე არ უნდა მიატოვოო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ამ იდიოტის მხარე დაიჭირა და კომპანიას მილიონ 750 ათასი დოლარის კომპენსაციის გადახდა დააკისრა. ავტომწარმოებელმაც სასწრაფოდ შეიტანა ექსპლოატაციის სახელმძღვანელოში შესწორება, რადგან სასამართლომ ქალს ახალი „სახლი ბორბლებზე“ მიაკუთვნა.

ერთი ილინოისელი ადვოკატის შვილებმა – 23 წლის ვაჟმა და 20 წლის ქალიშვილმა, მამის წაქეზებით, საკუთარი დედის წინააღმდეგ შეიტანეს სასამართლოში სარჩელი და ის დედობრივი მოვალეობების არასაკმარისად შესრულებაში დაადანაშაულეს. გაინტერესებთ, რა წერია სარჩელში? მაგალითად, დედამ ბიჭს მისალოცი ბარათი გაუგზავნა, მაგრამ ცოტა სახარჯი ფული აღარ გაიმეტა; დედა ქალიშვილს წაეჩხუბა საღამოს კაბის მაღალი ფასის გამო და აიძულა, ის მაღაზიაში დაებრუნებინა; დედამ საცეკვაოდ წასული ქალიშვილი აიძულა, რომ ღამის კლუბიდან შუაღამემდე დაბრუნებულიყო... ეს „მორალური ზიანი“ შვილებმა მოკრძალებულად – 1.5 მილიონ დოლარად შეაფასეს. ამ „საწყალ და ღარიბ“ ბავშვებს, რომლებიც დედის მხრიდან ასეთ „საშინელ“ ძალადობას განიცდიდნენ, მამის გარდა, სასამართლოში კიდევ ორი ადვოკატი იცავდა. საბედნიეროდ, თემიდა გონიერი აღმოჩნდა და ეს უაზრო სარჩელი წარმოებაშიც კი არ მიიღო.

27 წლის ამერიკელი მამაკაცი ავარიაში მოყვა – მის მანქანას უკნიდან მძიმეტონიანი სატვირთო დაეჯახა. საბედნიეროდ, ახალგაზრდას უმნიშვნელო ტრავმები აღმოაჩნდა და ინციდენტში მონაწილეებიც ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ, ფინანსური მხარე კი სადაზღვევო კომპანიებს მიანდეს. თუმცა, ოთხი წლის შემდეგ, მამაკაცმა სასამართლოს მიმართა და სატვირთოს მძღოლს უჩივლა. განცხადებაში ამერიკელი წერდა, რომ ავარიამ მისი პიროვნება შეცვალა – ის გეი გახდა. მას ცოლთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა, რადგან ინტიმურ ურთიერთობას ვეღარ ახერხებდა. მეუღლესთან დაშორების შემდეგ, მშობლებთან გადავიდა საცხოვრებლად, გეი-ბარებში დაიწყო სიარული და ჰომოსექსუალურმა ლიტერატურამ გაიტაცა. ვერდიქტი გაინტერესებთ? სასამართლომ ამ ახალგაზრდის მხარე დაიჭირა და სატვირთოს მძღოლს 200 ათასი დოლარის კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

# სექსუალურობის კრიტერიუმები ბრიტანულად

120 ათასი ბრიტანელი მამაკაცის გამოკითხვის შედეგად, როგორც იქნა, ის კრიტერიუმები დადგინდა, რომელთა მიხედვითაც კაცობრიობის ძლიერი სქესის წარმომადგენლები პარტნიორებს ირჩევენ. ამ მხრივ, მთავარ არგუმენტად ბრიტანელმა მამაკაცებმა ერთხმად დაასახელეს ინტელექტი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მიიჩნევდნენ, თითქოს მამაკაცებს არ უყვართ ჭკვიანი ქალები, აღმოჩნდა, რომ გარეგნობას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს – ამიტომ, მანდილესნების გარეგნობა მხოლოდ მეორე ადგილზე აღმოჩნდა. გამოკითხვების მიხედვით, მესამე პოზიციაზეა იუმორის გრძნობა.

გამოკვლევამ ბოლო დროს ჩამოყალიბებული ტენდენციაც ახსნა, როდესაც ასაკოვანი მამაკაცები ახალგაზრდა გოგონებთან არჩევენ რომანის გაბმას. აღმოჩნდა, რომ ეს დაკავშირებულია მამაკაცის ორგანიზმის დაბერების პროცესთან, რაც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ხელს უშლის, სექსუალური აქტიურობა ძველებურ დონეზე შეინარჩუნონ. განსაკუთრებით კი მათი ასაკის ქალებთან, რადგან მშვენიერი სქესს სწორედ ამ დროს აქვს სექსუალური „ყვავილობის“ პერიოდი: მათში ჰარმონიულადაა შერწყმული ძალა და ინტიმური ურთიერთობის სურვილი. ამიტომ, მამაკაცები ცდილობენ, კავშირი ჰქონდეთ საწინააღმდეგო სქესის გამოუცდელ წარმომადგენლებთან, რომელთათვისაც უფრო მნიშვნელოვანი რომანტიკაა, ვიდრე პოტენცია.

# კლასიკური მუსიკა ადამიანს კურნავს

ბრიტანელი სწავლულების აზრით, კლასიკურ მუსიკას ადამიანების განკურნების ძალა გააჩნია და ის არაერთ სენს ებრძვის წარმატებით. მეცნიერებმა ნისლიანი ალბიონიდან, შესაბამისი კვლევები ჩაატარეს და საინტერესო დასკვნებიც დადეს. აღმოჩნდა, რომ ქრონიკული დაღლილობის დაძლევაში, ადამიანს ბრამსის მუსიკა, მაგალითად, „კონცერტი ვიოლინოსთვის“ ან „უნგრული ცეკვები“ დაეხმარება. ემოციურ სტრესს მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“ მოგიხსნით. თუ ადამიანი გაღიზიანებულია, ამ დროს, კარგი იქნება, ჩაიკოვსკის შემოქმედება მოისმინოს, ამ შემთხვევაში, ბრიტანელი მკვლევარები უპირატესობას „ზამთრის ვნებანს“ ანიჭებენ. თუკი თავის ტკივილი გაწუხებთ, გერშვინის „ამერიკელი პარიზში“ ჩართეთ, ან მენდელსონის „გაზაფხულის სიმღერა“, გნებავთ, ოგნინსკის „პოლონეზას“ მოუსმინეთ. უძილობის შემთხვევაში, უებარი საშუალება ყოფილა ისეთი მუსიკალური ნაწარმოებები, როგორებიცაა: ოფენბახის „ბარკაროლა“, მენდელსონის „უსიტყვო სიმღერა“ და გრიგის „პერ გიუნტი“. გულის დაავადებებს, თურმე, მენდელსონის „საქორწინო მარში“ შველის. კლასიკური მუსიკის გარდა, დეპრესიიდან გამოსასვლელად, ასევე, შეგიძლიათ ჯაზ-კომპოზიციებს ან ბლუზს მოუსმინოთ.

# აზიური მოდა – სათვალე შუშის გარეშე

ჰონგ-კონგსა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, საკმაოდ მოდურია სათვალის ტარება, რომელსაც შუშები არ აქვს. დიდი ქალაქების ქუჩებში ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომელთაც ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა თუ აქსესუარის შესაფერისი, ათასგვარი ფერის პლასტმასის ცარიელი ჩარჩოები უკეთიათ. როგორც ჰონგ-კონგელები ამტკიცებენ, სათვალე მინების გარეშე მოსახერებელი და შეუცვლელია, რადგან იდეალურად ერწყმის მათ ჩაცმულობას. გარდა ამისა, სუსტი სქესის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, რომელთაც მაკიაჟის გასაკეთებლად დრო არ აქვთ, სათვალის ჩარჩო შესანიშნავად უფარავთ თვალის ჩაშავებულ უპებს. შუშიანი სათვალე კი ხშირად იორთქლება და მას ტუში ან ხელოვნური წამწამები ეწებება.

ამ უცნაური მოდის ზოგიერთი მიმდევარი თვლის, რომ ცარიელი ჩარჩოები ვიზუალურად ადიდებს თვალებს, კარგი მხედველობის გამო კი მინები საერთოდ არ სჭირდებათ. გასაოცარია ისიც, რომ ვისაც ცუდი მხედველობა აქვს და სათვალეს ექიმი უწერს, უპირატესობას მაინც კონტაქტურ ლინზებსა და სათვალის ცარიელ ჩარჩოს ანიჭებს. ბევრი აზიელი პოპულარული მსახიობი თუ ტელეწამყვანი დადის ასე და მოსახლეობაც ცდილობს, არ ჩამორჩეს ამ უცნაურ მოდას. მით უმეტეს, რომ ასეთი სათვალე საკმაოდ იაფია – 4-დან 12 დოლარამდე ღირს და ის თითქმის ყველა მაღაზიაში იყიდება.

# ჩინური კომბოსტო სიმსივნეს ებრძვის

სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა გამოკვლევები ჩაატარეს და ჩინური კომბოსტოს უნიკალურ შემადგენლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ექსპერიმენტისას სწავლულებმა 25 სახის კომბოსტო გატესტეს, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ჩინურ კომბოსტოში, 14 ტიპის ანტიკანცეროგენული ნივთიერებებია, მათ შორის, გლუცოსინოლატეს – რთული ორგანული ნაერთები. კიბოს უჯრედებზე ამ ნაერთების ზემოქმედების შემდეგ, სწავლულებმა დაადგინეს, რომ ის სიმსივნურ წარმონაქმნს ანადგურებს. აღსანიშნავია, რომ 1 გრამი ჩინური კომბოსტო 2.3 მილიგრამ ამ სასწაულმოქმედ ნაერთს შეიცავს. გარდა ამისა, კორეელმა მეცნიერებმა ისიც გაარკვიეს, რომ ჩინურ კომბოსტოში გლუკობრასიცინების შემცველობა, რომლებიც სარძევე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ მოქმედებენ, რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე ბროკოლიში.

# კედელში შიშველი კაცი იპოვეს

აშშ-ში, ნიუ-იორკის თეატრში, მაშველებმა კედლის ნაწილი მოანგრიეს, რათა იქიდან ადამიანი გამოეყვანათ. სამაშველო სამსახური მას შემდეგ გამოიძახეს, რაც თეატრის ერთ-ერთ თანამშრომელს ხმა მოესმა, როგორ ითხოვდა ვიღაც შველას კედლიდან. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მამაკაცი თეატრის შენობაში გასათბობად და იქაურ აბაზანაში საბანაოდ იპარებოდა ხოლმე. ის შიშველი იპოვეს და როგორც ვარაუდობენ, კედლის ცარიელ სივრცეში სწორედ აბაზანიდან ჩავარდა, სადაც ორი დღე გაატარა. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ მამაკაცს ფსიქოლოგიური პრტობლემები აქვს და მის პასუხისგებაში მიცემას არ აპირებენ. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# ახალი სასტუმროების გახსნა აკრძალეს

ნიდერლანდების დედაქალაქში 533 სასტუმროა, რომლებშიც, დაახლოებით, 40 ათასი ნომერია. თუმცა, აქ კვლავ გეგმავდნენ ახალი, 20 ათასამდე ნომრის დამატებას. ამსტერდამის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ქალაქის უდიდეს ტერიტორიაზე, ახალი სასტუმროების აშენებას კრძალავს, რადგან „ისინი არაფერს მატებენ მოსახლეობას“.

ოთხი წლის წინ, ამსტერდამში რამდენიმე რაიონი გამოყვეს, სადაც ახალი სასტუმროების მშენებლობა არ შეიძლებოდა, ახლა კი აკრძალვა თითქმის მთელ ამსტერდამზე გავრცელდა. ახალი სასტუმროები მხოლოდ დედაქალაქის მშენებარე რაიონებში აშენდება, ისიც მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად. ამ გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტს სურს ის უხერხული პრობლემა მოაგვაროს, რასაც ტურისტები ადგილობრივ მცხოვრებლებს უქმნიან.

# იაპონელებმა ახალი ტრადიცია მოიგონეს

ამომავალი მზის ქვეყანაში, ახალდაქორწინებულებმა ახალ ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი – ქორწილის დღისთვის, ისინი მცირე ზომის საკუთარ „ასლებს“ უკვეთავენ. მსგავსი თოჯინების დამზადება არც ისე იოლი საქმეა. ამ მიზნისთვის, ოსტატები ერთდროულად, რამდენიმე ციფრულ კამერას იყენებენ და ადამიანს ყველა მხრიდან, თითქმის ყველა რაკურსით იღებენ. მერე ამ გამოსახულებებს აერთიანებენ და მოცულობით გამოსახულებას იღებენ, რომელსაც 3D-პრინტერზე ბეჭდავენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახირება საკმაოდ ძვირი ღირს, საკუთარი თავისთვის „ძეგლის აგების“ მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია.

# სკოლებში რობოტი მასწავლებლები გამოჩნდებიან

ჩრდილოეთ კორეის მთავრობა სკოლებში ახალ სასწავლო ტექნოლოგიებს ნერგავს. „როიტერსის“ ცნობით, დედაქალაქ ფხენიანში, „ჭკვიანი“ მანქანები ბავშვებს მათემატიკის, მუსიკისა და ინგლისური ენის საფუძვლიანად შესწავლაში დაეხმარებიან. რობოტის ზომა 80 სანტიმეტრია და ის ქალის ხმით მეტყველებს. ადგილობრივ მედიას თუ დავეყრდნობით, ბოლო წლებში, ქვეყნის ლიდერი, კიმ ჩენ ინი აქატიურად ახორციელებს საგანმანათლებლო რეფორმას, რომელიც ტექნოლოგიური და სამეცნიერო სიახლეების დანერგვას ითვალისწინებს.

# ცოლ-ქმარს ძაღლზე საერთო მეურვეობა დაეკისრა

ესპანეთში, მადრიდის სასამართლომ ყოფილ მეუღლეებს ძაღლზე საერთო მზრუნველობა დააკისრა. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ ორივე ცოლ-ქმარს თანაბრად ესკისრება პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იზრუნოს ოთხფეხა მეგობარზე. შესაბამისად, ისინი ძაღლის თანამესაკუთრეები კი არა, თანამეურვეები გახდნენ. მოსარჩელის ადვოკატმა მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას ნოვატორული უწოდა. ახლა ძაღლი ყოფილ მეუღლეებთან თითო-თითო თვე იცხოვრებს. ამჟამად, ესპანეთში მუშავდება კანონპროექტი, რომელიც შინაურ ცხოველებს ოფიციალურად აღიარებს არა საკუთრებად, არამედ, ცოცხალ არსებებად. განქორწინებისას, ეს საშუალებას მისცემს ცოლ-ქმარს, დაშორების შემდეგ, შინაურ ცხოველებზე საერთო მეურვეობა მოითხოვონ.

# პირველი უნისექს-პრეზერვატივი შექმნეს

მალაიზიაში, მსოფლიოში პირველი უნისექს-პრეზერვატივი შექმნეს – მას გამოიყენებენ, როგორც ქალები, ასევე მამაკაცებიც. სიახლის ავტორი, გინეკოლოგი ჯონ ჩინია – კომპანია Twin Catalyst-დან, რომელიც სამედიცინო პროდუქციის მიწოდებითაა დაკავებული. პრეზერვატივს ერთი მხრიდან წებოვანი საფარი აქვს, რაც სასქესო ორგანოზე მიწებების საშუალებას იძლევა. ის პოლიურეთანისგან – დრეკადი და წყალგაუმტარი მასალისგანაა დამზადებული. სიახლეს Wondaleat Unisex Condom უწოდეს. მან უკვე გაიარა რამდენიმე კლინიკური ცდა და გაყიდვაში უკვე დეკემბრიდან გამოვა. ორპრეზერვატივიანი შეფუთვა 3.6 დოლარი ეღირება.

# ფიქრებს იმპლანტით გააკონტროლებენ



ამერიკელმა სწავლულებმა მინესოტას უნივერსიტეტიდან, ტვინის ახალი იმპლანტი შექმნეს, რომელიც აზროვნების პროცესს აკონტროლებს. დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ადამიანს ტვინის კოგნიტური ფუნქციების კონტროლის პრობლემები განუვითარდეს – ფსიქიკური აშლილობა, დეპრესია და სხვა. ეს ნერვული დაავადებები აზროვნების პროცესის შეფერხებას იწვევს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ვენტრალური სეგმენტარული უბნების ელექტრული სტიმულაცია, შესაძლოა, პაციენტებს კოგნიტური ფუნქციების გაუმჯობესებაში დაეხმაროს. სისტემა მოკლე ელექტრულ იმპულსებს აგზავნის ტვინის კონკრეტულ უბანზე, მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ექსპერიმენტები სწავლულებმა 12 პაციენტზე ჩაატარეს, რომელთაც ეპილეფსიის სამკურნალოდ, ტვინზე ოპერაცია გაიკეთეს. კვლევის შედეგები დამაიმედებელი აღმოჩნდა. სპეციალისტების თქმით, ახალი სისტემა შეიძლება მძიმე ფსიქიკური დარღვევების მქონე პირების სამკურნალოდაც გამოიყენონ.

# სიმსივნეს სალმონელათი უმკურნალებენ?



ამერიკელმა სწავლულებმა მასაჩუსეტსის უნივერსიტეტიდან, სალმონელას ბაქტერიით სიმსივნის მკურნალობის მეთოდი შეიმუშავეს. ბევრმა იცის, რომ სალმონელა პათოგენური ბაქტერიაა, რომელიც სალმონელოზს იწვევს. ამის მიუხედავად, მას უჯრედში შეღწევისა და მასში გამრავლების კარგი უნარი აქვს. საერთოდ, უჯრედში შეღწევა რთული პროცესია, რომელიც რამდენიმე სახის ცილის წარმოქმას მოითხოვს. სალმონელას სწორედ ამ თვისების გამოყენება სცადეს მკვლევარებმა კიბოს სამკურნალო პრეპარატების შესაქმნელად. სწავლულებმა ცდები მღრღნელებზე ჩაატარეს. ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ახალშექმნილი პრეპარატი ჯანსაღ ორგანოებში არ გროვდება. თაგვებში შენელდა სიმსივნეების ზრდა და მეტასტაზების გამრავლებაც შეჩერდა.

# ციხის ნაცვლად ბიბლიოთეკაში იმუშავებენ

იტალიაში ექსპერიმენტს იწყებენ, რომლის დროსაც, ოთხ წლამდე სასჯელმისჯილ პატიმრებს „გამოსწორების შანსს“ მისცემენ და ციხის ნაცვლად, საზოგადოებრივი საქმიანობით დააკავებენ კულტურულ დაწესებულებებში, როგორებიცაა მუზეუმი და ბიბლიოთეკა. საუბარია ისეთ პატიმრებზე, რომელთაც ზიანი მიაყენეს კულტურულ ღირებულებებს, რომლებსაც ბრალი დასდეს გულგრილობით ადამიანის სიკვდილში, დაჭრაში, ავტოსაგზაო შემთხვევაში. ახალი იდეის მიხედვით, ეს ადამიანები აანაზღაურებენ იმ ზიანს, რაც საზოგადოებას მიაყენეს. პროგრამაში ჩართულ 52 კულტურულ დაწესებულებას შორისაა კაზერტას სასახლე ნეაპოლთან ახლოს, ბოლონიის ეროვნული პინაკოთეკა, მანტუას ჰერცოგის სასახლე – სულ 11 მუზეუმი და არქეოლოგიური პარკი, 5 არქივი და 36 ბიბლიოთეკა – მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

# ავიაკომპანია მილიონიან ლატარიას ათამაშებს

Qatar Airways საკუთარ მგზავრებს შორის ერთ მილიონ ამერიკულ დოლარს, ავტომობილსა და ჩარტერს მალდივებზე – ორკაციანი საგზურით ათამაშებს. ლატარიაში მონაწილეობისთვის ამ ავიაკომპანიის საიტზე, ან სააგენტოში, მის რომელიმე რეისზე ბილეთი უნდა იყიდოთ, ოღონდ მომავალი წლის 31 იანვრამდე და ამ პერიოდში, სულ მცირე, ერთი გადაფრენა მაინც უნდა შეასრულოთ. ასევე, Qatar Airways Privilege Club-ის ლოიალურობის პროგრამაში უნდა გაწევრიანდეთ და დარეგისტრირდეთ აქციაზე Fly With The Best – ეს პროცედურა უფასოა. შემთხვევითი კომპიუტერული შერჩევის გზით, ავიაკომპანია გამარჯვებულს 22 თებერვალს გამოავლენს. მთავარი პრიზია იღბლიანი მგზავრის საბანკო ანგარიშზე მილიონი დოლარის ჩარიცხვა. ამ თანხიდან გამარჯვებულს გადასახადების გადახდა მოუწევს იმ ქვეყნის კანონების მიხედვით, სადაც ის ცხოვრობს. მეორე პრიზი – 110 ათასდოლარიანი ავტომობილია, ასევე, 50 ათასი დოლარი – საჩუქრის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გადასატანად. მესამე იღბლიანი ადამიანი კი ბიზნეს-კლასის 2 ბილეთს მიიღებს დოჰაში ჩასასვლელად, სადაც ორი დღე-ღამის მანძილზე, უფასოდ იცხოვრებს, ასევე ჩარტერით გაემგზავრება მალდივებზე და კუნძულზე 5 დღით, უფასოდ დაისვენებს.

# გახდომაში სუნამო დაგეხმარებათ

ფრანგულ პარფიუმერულ ფირმას Robertet, ეკუთვნის მსოფლიოში პირველი სუნამო, რომელიც ადამიანს ჭარბი წონის მოცილებაში დაეხმარება. მას Prends-Moi უწოდეს. ახალი პარფიუმის შემქმნელები აცხადებენ, რომ სასიამოვნო სურნელის მქონე არომატი ისეთ ინგრედიენტებს შეიცავს, რომელიც ადამიანის კანში ენდორფინების წარმოქმნას უწყობს ხელს. ამ ჰორმონების მეშვეობით, ტვინს „სიამოვნების მესიჯი“ გადაეცემა. შედეგად, ადამიანი ხალისიან განწყობაზე დგება, მადა კი უქვეითდება.

„გასახდომი კომპლექსი კოფეინის, კარნიტონისა და სპირულინას ნაზავია. ის ორ მთავარ ფერმენტს ააქტიურებს, როლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ლიპოლიზმის (ჭარბი წონის დაქვეითების) პროცესში. ახალი სუნამო ბერგამოტის, მანდარინისა და გრეიფრუტის არომატების ნაზავია. BIO EC-ის მიერ, 17-დან 70 წლამდე ასაკის ქალებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათ 75%-ს შეუმცირდათ ჭამის მოთხოვნილება, 73%-მა ამ სუნამოთი სიამოვნებაც მიიღო. თან არც მისი ფასი აფუჭებს განწყობას – ერთი ფლაკონის ღირებულება, დაახლოებით, 30 გირვანქა სტერლინგია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.